საქართველო

საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის მთავარი კომიტეტის ორგანო.

რედაქცია და კონტორა:
თბილისი, რუსთაველის პრ. სპექტი № 11 რედაქცია და კანტორა
ღია ყოველ დღე დილის 9 ს., ნაშუადღევის 2 და ნახ. საათამდის.
ტელეფ. № 15—73.
მ. სამართი დეპეშებისთვის: თბილისი ,,საქართველო'' ფოსტის ყუ-
თი № 76

განცხადებანი:
განცხადება მიიღება ნაშუადღევის 1-ლ საათამდის. სტრიქონი
პეტიტი პირველ გვერდზე 10 მ. მე-4 გვერდზე—8 მ.
ხამგლოვიარო განცხადებანი 30 სტრიქონი—350 მ. 1-ლი საათის
შემდეგ 200 მანეთით მეტი.

ხელის მოწერა:
გაზეთი ,,საქართველო'' ქალაქსა და ქალაქს გარეთ ღირს თვეში—
300 მან. ცალკე №—10 მ.

წელიწადი მეექვსე.

ხუთშაბათი, ენკენისთვის 30. 1920 წ. № 109

ფასი 10 მანეთი

ეროვნულ-დემოკრატიული
✕✕ პარტიის მთავარი კომიტეტი ✕✕

მოთავსებულია კვლავ ძველ ბინაზე დამფუძნებელი კრების ქუჩა № 5. ქარვასლა.

მდივნის ნახვა შეიძლება დილის 8—12 და ნახ., საღამოს 7—9 საათამდე.

ქართველ მსახიობთა კავშირის საბჭო

ამით აუწყებს თავის წევრებს, რომ თანახმად წესდების § 18, კვირას, 3 ოქტომბერს, ქართული დრამის თეატრში, შუადღის 12 საათზე შესდგება წევრთა

საგანგებო კრება

განსახილველი საგნები: 1. საზოგადო კრების დადგენილებათა განხილვა.
2. სასურსათო საკითხი.
3. მიმდინარე საკითხები.
2—49—1

სახელმწიფო ოპერა

სეზონი 1920—21 წ.

დასის შემადგენლობა:

(ანბანზედ)

ქალები:

სოპრანო:

ალეშკო მ. ი.
ბაიარსკიხა ნ. ე.
ბურავო ცეხანოვსკისა ვ. ვ.
ვალკონსკისა
ვოლ-ლევიცკისა ა. ხ.
ვიშემირსკაია ცაგარელი მ. ა.
მანდენოვისა ს. გ.
მაზოვეცკისა ნ. გ.
მასტი ფ. გ.
კალანდაძე ო. ს.
რისი ო. ლ.
ოქროპირ ძე
სპრიშევსკისა დ. ტ.

მეცო-სოპრანო:

ერმოლინსკაია ა. ა.
პანინა ნ. ი.
იანსა მ. ა.
შელუდკოვსკაია ნ. გ.
ცინკ ფ. ხ.
ერვანდელი.
ოვსიანიკოვა ლ. ა.
ნეიმანი ბ. მ.
ზასლავსკაია ო. ფ.

კაცები:

ტენორები:

ზალიპსკი ბ. ი.
კურბატოვი ა. ე.
მოლჩანოვი ი. პ.
სარაჯიშვილი ა.
ჭუმბურიძე ა.

ბარიტონები:

ბალაბანი ა. ა.
ვენაძე გ. ი.
დროზდო-პოლიაევი ფ. ნ.
ინაშვილი ა. ი.
თარხნიშვილი მ. ი.

ბასები:

დემიანენკო ა. ა.
ისეცკი ლ. ნ.
მერლიშვილი ე. ი.
საბინინი ლ. დ.
ნიროვი ნ. პ.
ეზროვი ნ. ს.
ორლიუკი
ქურხული გ. ა.

ბალეტი 12 წყვილი ბალეტმეისტერი ს. ფ. ვაკარეცის და პრიმა-ბალერინა ბაუერზაკისის მ. ძ. ხელმძღვანელობით. რეჟისორები: პელსკი ა. დ. ულენტი ვალ. და გურეხი ა. ა. გუნდის ხელმძღვანელი სვიმონიშვილი ლ. ია. დირიჟორები: სტოლერმანი ს. ა., ჩერეპნინი ნ. ნ. და მიზანდარი. კონცერტმეისტერები: საბინ-გუს ე. დ., სოკოლოვისა ლ. ვ., გოლდმანი ლ. ია. ფალიაშვილი ჟანნა. სუფლიორები: ნიკოლაევი ხ. ი. და სარაჯიშვილი ა. ვ.

გუნდი 50 კაცი. ორკესტრი 50 კაცი.

მუსიკალურ ნაწილის გამგე ფოცხვერაშვილი კ. გ. სამხატვრო ნაწილის გამგეები: ზალცმანი ა. ა. და ს. მ. ოვი ვ. ა. ოპერის დირექტორი ს. ი. ევლახიშვილი.

სეზონი გაიხსნება

ხუთშაბათს 30 სექტემბერს სრულიად ახალი მოწყობილობით, ახალ დეკორაციებით, ახალი ტანისამოსით და გაძლიერებული ხოროთი.

ორიგინალური ქართული ოპერა მუსიკა ზ. პ. ფალიაშვილისა.

აბესალომ და ეთერი

დასდგამს ა. რ. წუწუნავა. დირიჟორობს ავტორი ზ. პ. ფალიაშვილი.

პარასკევს, 1 ოქტომბერს **პიკის ქალი** ოპერა 4 მოქ., მუსიკა ჩაიკოვსკისა. დირიჟორი სტოლერმანი.

შაბათს, 2 ოქტომბერს, **რიგოლეტო** ოპ. 4 მოქ., მუსიკა ვერდისა. დირიჟორი სტოლერმანი.

ბილეთები იყიდება თეატრის კასაში დილის 11 საათ. დღის 3 საათ. და საღამოს 6 საათიდან წარმოდგენის გათავებამდე. 45. 1.

დასაწყისი საღამოს სრულ 8 საათზედ. სახელმწიფო თეატრის ადმინისტრაცია

თბილისის ქალაქის გამგეობა

ამით აცხადებს მცხოვრებთა საყურადღებოთ, რომ გამგეობის აგენტები, რომელთაც დავალებული აქვთ ბინების გამოკვლევა—დათვალიერება, თვითეულ კერძო შემთხვევაში, აღჭურვილი იქნებიან გამგეობის წევრის მიერ ხელმოწერილი ორდერით დასახელებული სახლის ანუ ბინის გასინჯვის შესახებ.

ქალაქის გამგეობა.

ზაქათლის ოლქის ბედი.

რუს-კომუნისტების წითელი არმია აყრილა ზაქათლის ოლქიდან.

,,მავრმა'' შეასრულა თავისი საქმე და არხეინად წავიდა!

ეს ის არმიელები არიან, რომელნიც, მიუხედავად მოსკოვის ხელშეკრულებისა, შეიჭრნენ უმდიდრეს საინგილოში, მილეწ-მოლეწეს იქ ყველაფერი, ყაჩაღურად ხელთიგდეს მთელი დოვლათი ოლქისა და გაუდგნენ რუსეთის გზას.

მოსკოვის ბოლშევიკებმა გაამასხარავეს ჩვენი ,,დიპლომატები'', რომელნიც მოსკოვიდან დეპეშებით და საგანგებო კურიერებით ამცნობდნენ გულუბრყვილო ქართველებს მენშევიკების ,,უსისხლო გამარჯვებას'' და ბოლშევიკების სრულს კაპიტულიაციას საქართველოს წინაშე! საბჭოთა რუსეთმა სულ ადვილად მოუწერა ხელი მენშევიკების აგენტს ,,კონტრაქტზე'', რადგანაც დარწმუნებული იყო, რომ მისი შესრულება ბოლოს და ბოლოს მისავე სინიდისზე იქნებოდა დამოკიდებული...

ბოლშევიკურმა სინიდისმა-კი ასე გასჭრა: მენშევიკები მაინც და მაინც ანგარიშგასაწევი ხალხი არ არიან,— ქაღალდზე შეპვირდები მათ ,,ზეციურ მანნას'', ნამდვილად-კი ხახამშრალს დავსვამ!

ასეც მოხდა: მოსკოვის ხელშეკრულება აღგვითქვამდა ზაქათლის ოლქის შემოერთებას, მაგრამ სამშობლოში მომავალ გრიშა ურუტაძეს გზა აუჭრეს წითელ არმიელებმა და, ვიდრე დიპლომატი მოხსენებას წარუდგენდა მთავრობას თავის უბადლო გამარჯვებაზე, ისინი ზაქათლის ოლქში... ფლავს შეექცეოდნენ!..

ამავე დროს საქართველო რუსეთის საბჭოთა მთავრობის ფილიალურ განყოფილებას—აზერბაიჯანს— ეომებოდა. ჩვენმა მამაცმა ჯარმა თავზარი დასცა აზერბაიჯანისა და რუსეთის წითელ არმიელების გროვას... ქართველ ხალხს სრული საბუთი ჰქონდა ედღესასწაულნა ბრწყინვალე ,,სისხლიანი გამარჯვება'', მაგრამ მენშევიკების დიპლომატებმა აქაც სახტად დაგვტოვეს! ,,სათნოებით'' აღსავსე სოციალ-დემოკრატიამ განაცხადა, რომ გამარჯვებით ის არ ისარგებლებს, რადგანაც ტერიტორიულ და სხვაგვარ შემატებას ქართველი დემოკრატია ირჩევს მეზობელთან კეთილგანწყობილებასო... ასე გადმოგვცეს ჩვენმა მმართველებმა თავის ოფიციოზების საშუალებით ქართველი ხალხის გულისთქმა და დაავიწყდათ, რომ იმავ ოფიციოზების ფურცლებზე ჯერ კიდევ არ იყო შემშრალი მელანი, რომელმაც თეთრ ქაღალდზე ასეთი ,,შეუსაბამო'' აზრები აღბეჭდა: ,,აღმოსავლეთ საქართველოში ჩვენ წინანდელ მდგომარეობით ველარ დავკმაყოფილდებით. ჩვენ გვერთვის ვერაგი მეზობელი და ეს გარემოება კი გვიკარნახებს, რომ ჩვენი აღმოსავლეთის ხაზი უზრუნველვყოფდეს ისტორიულად, ეკონომიურად და სტრატეგიულად''... დაახლოვებით ასე სწერდა ,,ერთობა'' ომის პროცესში.

მენშევიკებმა აზერბაიჯანთან სამარცხვინო ზავი შეჰკრეს, ისევე როგორც წინა ომებში. მათმა ,,გრამმოფონმაც'' ასეთი ჰანგი გადმოგვცა: ჩვენს მიზანს არ უნდა შეადგენდეს უცხო ელემენტების გაძლიერება საქართველოში, რაც მოჰყვება სახელმწიფო ტერიტორიის გაფართოებას! ჩვენ ვქმნით ეროვნულ სახელმწიფოს''.

ასე წახდა ეროვნული აღფრთოვანებით დაწყებული დიდი საქმე...

მას შემდგომ რაც გადაჰხდა საინგილოს, რა საშინელი დღეებიც გადიტანა მისმა ხალხმა და კერძოდ ინგილოებმა, - ყველაფრის მნახველი სოციალ დემოკრატებსაც შეაძრწუნებს.

ყველაზე მდიდარი მხარე ჩვენი ქვეყნისა დღეს ვერანად არის გადაქცეული: ქირვახული და სიმდიდრე სულერთიანად გაზიდულია, დამშეული მცხოვრებნი კი მთებსა და ტყეებშია შეხიზნული...

ზაქათლის ოლქიდან ბოლშევიკები წავიდნენ.

მენშევიკები არც ეხლა მოინდომებენ ამ ოლქის შემოერთებას, რომ არ დაამცირონ გრიშა ურატაძის შემოქმედების უმწიკვლო ნაყოფი!

ჩვენ ალბად დავიცდით იმ დრომდე, როდესაც ამ უბედურ კუთხეს კიდევ ახალი უცხო ხალხი ეწვევა...

მომარაგების სამინისტროში

4.

შინაური რევიზია.

ბ-ნი ერაძე დაინტერესებულია, ქვეყანას მოაჩვენოს რომ მის სამეფოში ყველაფერი რიგზეა. ამ მიზნისთვის მას არ გამოადგება დამოუკიდებელი კონტროლიორი, ვინაიდან მის სამეფოში, თავის ადგილას ერთი კენჭიც არა ძევს. როგორც საზოგადოებრივი აზრის შესაქმნელად, ისე იმ კულისებში გავლენის მოსახდენად, სადაც სწყდება ამა თუ იმ მინისტრის დანიშვნა გადაყენების საქმე, მას მხოლოდ შინაური რევიზორების აქტი გამოდგება. ასეც ხდება.

როდესაც ბათომის რწმუნებულის, კახელაძის მოქმედება საქვეყნო შეიქმნა, მომარაგების სამინისტრო უნდა დაფაცურებულიყო, რომ საზოგადოებრივი აზრი დაეშოშმინებინა. და სამინისტრომ კახელაძეს დაუნიშნა შინაური რევიზია... რევიზია ორი კაცისაგან შემდგარი! თავმჯდომარეა ერთი ამ ორიდან, ბ-ნი დავიდოვი, რომელიც მომარაგების საქმეთა მართველი ბრძანდება.

დამახასიათებელია კომისიის თავმჯდომარის „მარშრუტი'', რომელიც წინ უძღვის თვით რევიზიის დაწყების ფაქტს. ბ-ნი დავიდოვი ბათომში ჩადის აგვისტოს 26-ს. მეორე დღეს ბ-ნი კახელაძე ამ სარევიზიო კომისიის თავმჯდომარეს, კურიერად თბილისში გზავნის საგანგებო დავალებებით მომარაგების მინისტრისა და სამინისტროს ვაჭრობა მრეწველობის უფროსისადმი. დავიდოვი ბათომში 30 აგვისტოს დაბრუნდება და აუწყებს რომ მინდობილობა აღსრულებული არის...

კახელაძის საქმეთა რევიზია იწყება სექტემბრის ხუთს... თუმცა სარევიზიო შინაური კაცები იგზავნება, მაგრამ მაინც საჭირო ყოფილა წინასწარი ოფიციალი გაფრთხილება! თუ საქმე ძალზედ აწეწილი იქნებოდა და ანგარიში მეტად უსწორო და აბნეული, თუ საწყობებში საქონელი არ აღმოჩნდებოდა; მაშინ, ცხადია, თვით შინაური რევიზორებიც სრულიად ვერ იტყოდნენ რომ მომარაგების სამეფოს ბათომის პროვინციაში ყველაფერი რიგზე იყო. იქნებ ამ მდგომარეობის [illegible] სწინებით, იქნებ იმ შიშით რომ რევიზიაში დამოუკიდებელი კონტროლიორი არ ჩარეულიყო, იქნებ კიდევ სხვა მოსაზრებით ეს ჩვენ არ ვიცით, მაგრამ ვიცით კი ნამდვილად, რომ მომარაგების სამინისტრო აფრთხილებს კახელაძეს, სარევიზიოთ მოვდივართ და ყოჩაღად დაგვხვდითო! იმეტყველოს თვით საბუთმა:

მომარაგებას სამინისტრო.
31 აგვისტო 1920 წ.
№ 1562—8780.
თბილისი.

რწმუნებულს
კახელაძეს.
ქ. ბათომი.

ამით გაცნობებთ, რომ რევიზიას ვნიშნავთ იმისთვის, რომ სამუდამოდ ბოლო მოუღოთ ყველა ამ საგაზეთო წერას (газетнымъ писаніямъ).

რევიზიის დასკვა ჩვენთვის უფრო მნიშვნელოვანია, ვინემ საგაზეთო კორესპონდენციები. გთხოვთ წარუდგინოთ რევიზიას სრული შესაძლებლობა საბუთებით გაცნობისა ბათომის ორგანიზაციისა მისი დაარსებიდან დღევანდელ დღემდე.

სავაჭრო-სამრეწველო განყოფილების
დირექტორი ნ. კახოვი.
კანცელარიის მმართველი კრიუჩკოვი.

—

რევიზია საგანგებოდ არის დანიშნული ცენტრალი დაწესებულების მიერ და იმ პირს, რომლის მოქმედება უნდა იქნეს გამოძიებული, იგივე ცენტრალი დაწესებულება წინასწარ აფრთხილებს!!..

ეს რევიზია იმიტომ კი არ სჭირია მომარაგების სამინისტროს რომ მართლა გაიგოს კახელაძის ავი და კარგი, არამედ იმისთვის, რომ ბოლო მოეღოს საგაზეთო წერას!!. აქ არის ნამდვილი შინაურული შეთქმულება ბოროტების დასაფარავად და სინათლის დასაბნელებლად! ამაზედ შორს სადღა წავიდეს მომარაგების სამინისტროს შავი საქმენი!!

მაგრამ რა იცოდნენ კასოვ-კრიუჩკოვებმა რომ ამ საქმეში მოულოდნელად გაერეოდა სახელმწიფო კონტროლის ვიცე-დირექტორი ბ-ნი დ. ჩიქოვანი და ამ რევიზიაში ჩააყენებდა კონტროლის მხრივ ბათომის განყოფილების რევიზორებს?! რა იცოდნენ რომ აქ ნახტომი შეეშლებოდათ და ეს ,,ჩაწყობილი'' რევიზია მოუცდებოდათ? არ იცოდნენ და არ მოელოდნენ. და ამ რევიზიასაც იმდენად აქვს ფასი და მნიშვნელობა, რამდენადაც ეს დამოუკიდებელი რევიზორები მასში ჩაერივნენ. კომისია ორად გაიყო: ერთის მხრით მომარაგების სამინისტროს რევიზორებია, რომელნიც კასოვ-კრიუჩკოვის დაწერილ პიესას თამაშობენ, ხოლო მეორეს მხრით სახელმწიფო კონტროლის რევიზორები. ერთი მხარე ჩამოვიდა რომ შეასრულოს წინასწარ გამზადებული პლანი; მას აქვს საგანგებო დავალება თვის დასკვნით ბოლო მოუღოს საგაზეთო მიქმა-მოთქმას.

მეორე მხარე წარმოადგენს სახელმწიფო კონტროლს, სრულიად გარეშე პირითა, არაფრით დაინტერესებული და ობიექტიური სინამდვილის უტყუარი გადმომცემი: ამ მხარეთა შორის ბრძოლა არ შეწყვეტილა, ვიდრე რევიზია გრძელდებოდა. სახელმწიფო კონტროლის რევიზორს, ბ-ნ შავგულიძეს ბევრი ჯერ „აუშლია ნერვები" კომისიისათვის —იგულისხმე— დავიდოვ—კირტაძისათვის. კახელაძის საქმეთა რევიზიის აქტს სახელმწიფო კონტროლის რევიზორები ასეთ შენიშვნას უკეთებენ: „ეს რევიზია მოკლებულია ობიექტურ ხასიათს:

1. იმ მოწერილობის გამო, რომელიც მომარაგების სამინისტრომ 32 აგვისტოს თარიღით № 1562 | 1780 წინასწარ გაუგზავნა თავის რწმუნებულს და აცნობა, რევიზია გაქვს დანიშნულიო.

2. იმის გამო, რომ კომისიის თავმჯდომარე ბ-ნი დავიდოვი, ნივთიერად დამოკიდებული იყო იმ პირისაგან (კახელაძისაგან), რომელსაც რევიზიას უკეთებდენ და ამ შემთხვევაში მოკლებული იყო ობიექტიობას და სათანადო მიუდგომლობას, ვინაიდან თვით ფაქტი ასეთი დამოუკიდებლობისა აშკარად მოქმედობდა თავმჯდომარის სინდისსა და მის უფლების შემცნებაზე. ყველა ზემოდ ნათქვამი დამყარებულია მკაცრად გაცხრილულ საბუთებზე, რომლებსაც თან ვარდგენთ.

უფროსი რევიზორი სახელმ. კონტროლის შავგულიძე რევიზორი ტურიკი.

ასეთია მომარაგების სამინისტროს შინაური რევიზიის ფართო ღირებულება; აქედან ადვილი წარმოსადგენია, თუ რამდენათ ახლო იქნება საქმის სინამდვილესთან ყველა ის პირი თუ დაწესებულება, რომელიც იკვებება სამინისტროს შინაური რევიზიის აქტებით, ანუ მინისტრისა თუ სამინისტროს დირექტორების სხვა და სხვა განცხადებით. თუ პასუხისმგებლობა არ გამქრალა მმართველ პარტიასა და ორგანოებში, უნდა დაუყონებლივ ზომები იქმნას მიღებული მომარაგების სამინისტროში ჯეროვანი რევიზიის მოსახდენათ. მეთაურების სამინისტროდან გასვლას წინ უნდა უძღოდეს მათი ნამოქმედარის მკაცრი რევიზია... კონტროლს ჩვენ ველით..

სოციალ-დემოკრატები მომარაგების შესახებ.

,,ახალი სახელმწიფო'' მომარაგების სამინისტროში.

სოციალ-დემოკრატების პარტიული ოპოზიციის გაზეთი ,,ახალი სხივი'' ზემო აღნიშნული სათაურით შემდეგ წერილს უძღვნის მომარაგების სამინისტროს.

სასურსათო კრიზისი თან და თან მწვავდება. მოსავალი შემოვიდა, მაგრამ პური საშინლად გაძვირდა, წაბდა, კაცს არ ეჭმება და თუ საჭმელად ვარგა, ისე ძვირია, რომ შეძენას ვერ მოახერხებ. 110 მანეთი პური საშინელებაა, შიმშილით სიკვდილი უფრო უარესია. თუ ასეა დღეს, რა იქნება ზამთარში,—ეს წარმოუდგენელია.

შიმშილს ვინც გადაურჩება, იმას ალბათ სიცივე იმსხვერპლებს. ვაგონილა, რომ ჩვენი ქვეყანას, შეშა აკლდეს, როდესაც აუარებელი ტყეები გვაქვს? რად ხდება ყველა ეს?

ამას წინედ ჩვენ ვწერდით, რომ სახელმწიფომ ხელში უნდა აიღოს პირველი მოთხოვნილებათა საგნებით დაკმაყოფილება, მაგრამ ისე, რომ ადგილი არ ქონდეს ისეთ უაზრობას, რომ რამდენიმე ფუთი ფქვილის შეძენა შეუძლებელი იყოს პირადი მოთხოვნილებისათვის.

ეს დღეს ასე ხდება. დღეს თბილისი ჩაკეტილია, არსაიდან მას პურს არ აწვდიან ლეგალურად; არალეგალურად, ფარულად მოტანილი პური კი ძვირია. რათ ჩაიკეტა თბილისი? მისთვის, რომ სამინისტრომ შეიძინოს ხორბალი სოფლად და შემდეგ დაურიგოს მცხოვრებლებს.

კარგი და პატიოსანი. მაგრამ არის საქმე ისე დაყენებული, რომ სამინისტროს აგენტები ამას შესძლებენ? ვაი თუ ისევ სპეკულიანტებს ჩაუვარდეთ ხელში და მცხოვრებლებიც მოკლებული დარჩენ საშუალებას შეიძინონ თავიანთ საჭიროებისათვის ხორბალი.

ამბობენ, რომ სამინისტროს ბევრი აგენტი, ამ ჟამად პროვინციაში მომუშავე, უფრო თავის ჯიბეზე ფიქრობს, ვიდრე სამინისტროს გეგმის ცხოვრებაში გატარებაზე.

გეგმა ერთია, ხოლო ცხოვრებაში მისი გატარება მეორე.

ალბათ ქალაქთა კავშირსაც ქონდა გეგმა შეშის დამზადების, გეგმები იქაც ბევრი იციან, მაგრამ მართალი ის არის რომ ზამთარში უშეშოთ რჩება მცხოვრებლები.

ბევრს ნიშნავს მოხამსახურეების ვინაობა, თუ რამდენათ კეთილსინდისიერათ ასრულებენ ისინი თავის მოვალეობას.

ყველაფერს თავი დავანებოთ, მაგრამ ეს ტალახიანი პური რათ ცხვება, რატომ პურს არ ცრიან, რატომ არც მთავრობის თავმჯდომარის ბრძანებამ გასჭრა? ეს ხდება მიტომ, რომ ამ ჩვენ სახელმწიფოში რამოდენიმე სახელმწიფოა:

აი მომარაგების სამინისტრო. ეს დაწესებულება განა უწყება არის? არა, ეს არის სავაჭრო სახლი, მას არავითარი დამოკიდებულება არ აქვს სახელმწიფო დაწესებულებასთან, სახელმწიფომ არ იცის არც მისი შტატები, არც იქაური წესი და ჩვეულებები ეს დაწესებულება ანგარიშს არავის არ უწევს. მას აქვს თა-

ვის ხაზინაც და თავის შემოსავალიც დ გასავალიც. მაშინ როდესაც სახელმწიფო ექსპედიციის საშუალებით აკმაყოფილებს მოთხოვნილებას, ამ „უწყებას" შეიძლება ათი მილიონები ქონდეს თავის ტომრებში, მაგრამ ეს მისია, მას ხელს ვერავინ ახლებს.

მას თავის მოხელეები ყავს რომლებიც გარდა ორ-და სამკეც ჯამაგირებისა, კიდევ პროცენტებს იღებენ და ამ გვარათ მილიონებს აგროვებენ გასამრჯელოთ.

ამ დაწესებულებაზე არ ვრცელდება საერთო წესი: ყველა უწყების ასიგნობებს სახელმწიფო კონტროლი იხილავს ამოწმებს, ამით ფულის ხარჯვის დასტურს იძლევა. აქ კი ეს ასე არ არის. აი „სავაჭრო სახლს" თავის კონტროლი ყავს და თავის კასა—ტომრები აქვს და ფულს ისე ხარჯავს, როგორც თითონ მოეგუნებება.

ეს არის სახელმწიფო სახელმწიფოში. ამიტომ რაც უნდა ბრძანება გამოიცეს მის შესახებ, ბრძანებათ დარჩება.

თუ ხარჯის და შტატის შემოკლებაზეა საქმე მთავრობის თავმჯდომარემ უნდა მოითხოვოს ამ „უწყების" შტატები და გასავალი.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ მომარაგების „უწყებამ" სავსებით ჩაყლაპა ერთი მართლა უწყება: ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტრო. ჩვენ ხშირათ ვესხმით ამ უწყებას და მის მეთაურთ, მაგრამ ერთი რამ გვავიწყდება, რომ მთელი ფინანსიური და ეკონომიური ცხოვრება ჩვენი ქვეყნისა თავმოყრილია მომარაგების სამინისტროში, აქ სწყდება პრაქტიკულად ყველა ეს საკითხები, ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის უწყება კი უბრალო კანცელარია ან განყოფილებაა ამ „სამინისტროსი". თუ ასეა, პასუხისგებაც მას უნდა ვაკისროთ, ვინც ფაქტიურად აწარმოებს ამ პოლიტიკას.

პრესსა

დემაგოგიის მორევში.

„ერთობა" ბრაზიდან ლამის გასკდეს... ჩვენ იგი კედელთან მივაბჯინეთ და ფაქტებით ხელში პასუხი მოთხოვეთ; ეს ერთი ხანია, ჩვენ ველით „ერთობისაგან" უბრალო თავის მართლებას მაინც, მაგრამ ამაოდ... შერცხვენილი გაზეთი დემაგოგიის მორევში სცურაობს და ვერ იქნა ვერ, მივაღწიეთ, რომ საგანის არსებით სიმშრალეზედ გამოვიყვანოთ.

აი ეხლაც: მთელ რიგ წერილებში ჩვენ ვამხილეთ დაუშვებელი ბოროტმოქმედებანი მომარაგების სამინისტროში, ნათლად დავასურათეთ ის ქაოსი და ანარქია, რომელიც მის საქმეებ. სუფევს დ ფაქტებით ხელში მოვითხოვეთ ბ-ნ ერაძის გადაყენება და მისი სამინისტროს რევიზია.

„ერთობა" ერთხანს გაჩუმებული იყო და კრინტს არ სძრავდა თავის ამხანაგ-მინისტრის დასაცავად, მაგრამ ეხლა, როგორც სჩანს, თვით მინისტრმა მოითხოვა თავის ამხანაგებისაგან პრესსის დახმარება და „ერთობა" ც მის სამსახურისათვის ამართულა!

მაგრამ როგორ?

ერთი საბუთი „ერთობის" რედაქციას ხელთ არ აქვს ჩვენი ბრალდებების გასაბათილებლად—ასეთი საბუთები რომ არსებობდენ თვით მინისტრიც მოიცლიდა თავის „სახელმწიფოებრივ" საქმეებიდან—და „ერთობა" თავის ფინია „განს" აგდებს წინ, რომ.

ერთი კარგათ მოგვცხოს!

და იწყება ძველი ისტორია „განის". დემაგოგიის, ასეთი მარგალიტებით: „ჩვენ ვიცით, რომ ერაძის წასვლა ჩვენ სპეკულიანტები დიდ ზეიმს და სიხარულს გამოიწვევდა, და გაზეთი „საქართველო" სამადლობელ ადრესს და ერთგულების ატესტატსაც მიიღებდა, მაგრამ გაზეთმა ერთხელ და სამუდამოდ უნდა გაიგოს, რომ მათი სპეკულიანტების სასიამოვნოთ ჩვენ თითსაც არ გავანძრევთ".

ჩვენ ვიცით, რომ „განი" არც ერთი მენშევიკი, თითს არ ანძრევს არც ჩვენს სასიამოვნოთ და არც თავისი ამხანაგების საწყენათ და კერძოთ გაზეთმა „ერთობამ" რომ ხელი გაანძრიოს, ვის ქაღალდზედ უნდა ბეჭდოს თავისი დემაგოგიის ფურცლები?

ჩვენ ვიცით, რომ მენშევიკების სამეფოში ხელი ხელს ჰბანს და რამდენიც უნდა ილაპარაკოს „განმა" რომ მენშევიკები თვას „ნებსით, თუ უნებლიეთ" დეფექტებს თვით ამხელენ, მათ არავინ დაუჯერებს, რადგან:

მენშევიკების ხელმწიფების ისტორიას არ ახსოვს, რომ მათ რომელიმე თავისი ამხანაგი დაესაჯათ ამა თუ იმ ბოროტმოქმედებისათვის,—ეს ისეთი ფაქტია, რომელსაც ვერავინ ვერ უარყოფს!

ეხლა დიპლომებზედ:

„განი" ასეთ უცნაურობით ტრაბახობს:

„არც ამხ. ერაძეს, და არც იმ კლას, რომელის წარმომადგენელი ისაა, არ მიუღია სწავლა განათლება და დიპლომი ბურჟუაზიის „სიბრძნის ტაძარში", რაზედაც ასე მედიდურობით ლაყბობს გაზეთი „საქართველო" და ცინიკურათ თვით ლაყბობს „დიპლომიან მუტრუკების" შესახებ.

ჩვენ „მუტრუკების" ცინიკურ საკითხს გვერდს აუხვევთ და მის გამოსარკვევად „განს" მისივე ამხანაგ „ბროდიაგასთან" გავაგზავნით, რომელიც დღეს ასე ალვირ ახსნილათ მინისტრობს, მაგრამ, რომ „განი" იმით ტრაბახობს, რომ სწავლა ბურჟუაზიულ „სამინისტროს ტაძარში" არ მიუღია, იქნებ ბ ნ ვანდერველდე—დე ბრიუკერის დელეგაციასთანაც განაცხადოს, ესევე, რომელნიც აუხსნიან „განს", უნივერსიტეტის განსხვავებას ავლაბარისაგან.

წითელი სასახლე

გასაოცარია სწორედ, გასაოცარი!

როგორ ახერხებენ ჩვენი მენშევიკები საზოგადოებისაგან დაფარვას ყველა იმ ტალანტისას, რომელიც ამ რამოდენიმე დღეში გამოჰფინეს სოციალისტური ზეიმის გამო.

შეხედეთ რკინის გზას! იმ ადგილზე, სადაც ის არის გაყვანილი, ოდესღაც უდაბნო იყო. ეხლა იქ ლიანდაგია გაფენილი და წამ და უწუმ ორთქლმავლები გაშმაგებული კივილით დარბიან.

მოდით და ნუ გაგაკვირვებთ ჩვენი მენშევიკების ნიჭი, ტალანტი.

ან, თუ გნებავთ, აიღეთ ქალაქები. იქ, სადაც დღეს თბილისია გაშენებული ოდესღაც გაუვალი ტყეები იყო და რომელიმე კონტრ-რევოლიუციონერი მეფე ვახტანგ გორგასლანი თუ შეისვენებდა, როდესაც მას ნადირობის დროს გზა აებნეოდა. მაშინ იქ ერთი მენშევიკიც არ ცხოვრობდა ეხლა კი ამ ადგილზე გრუტას ცნობით რამოდენიმე მილიონი ინტერნაციონალისტია დაბანაკებული მსოფლიო სოციალისტური რევოლიუციის მოლოდინში.

ამის შემდგომ მე სრულებით არ მაკვირვებს მოქალაქე ვანდერველდეს განცხადება: სოციალისტური სამოთხის პირველი სატახტო ქალაქი უთუოდ თბილისი იქნება და არა პარიზი, ან ბრიუსელი.

რატომ ჩვენ გვთავაზობენ ასეთს ბედნიერებას და თვითონ უარს ამბობენ, ეს მე არ ვიცი, მაგრამ მე ვიცი, რომ ყოველივე ჩვენი ბედნიერება და თვით—თბილისის ასეთი დაწინაურება, მიეწერება მხოლოდ და მხოლოდ ჩვენს მენშევიკებს.

და განცვიფრებას ჩემსას არ აქვს საზღვარი.

ან, გნებავთ, აიღეთ ჩვენი მენშევიკების ეკონომიური ნიჭი და გამჭრიახობა

ერაძე, კახელიძე, ყიასაშვილი, შანშიაშვილი, ეს რა არის შედარებით იმ ტალანტებთან, რომელნიც თურმე „ერთობის" რედაქციაში ჰბუდობენ.

„ერთობა" თვითონ სწერს: მას თურმე ისეთი დიდი მოგება ჰქონდა ამ რევოლიუციის დროს, საგაზეთო წარმოებიდან, რომ დიდი სასახლე შეუძენია ნაღდ ფულზე და არა ნისიად ქალაქის ცენტრში, რამოდენიმე დიდი სტამბა უყიდია აგრეთვე და სხვა და სხვა...

ეხლა უფრო უთუოდ მკითხველსაც გული წაუვა განცვიფრებისაგან.

„ერთობა-გაზეთს ჰყიდდა 3 მანეთად როდესაც ის ქაღალდი, რომელზედაც გაზეთი იბეჭდებოდა 5 მანეთი ჰღირდა „ერთობა" გაზეთს ჰყიდდა 5 მანეთად როდესაც მარტო ქაღალდი ჰღირდა 8 მან., „ერთობა" გაზეთს ჰყიდის 10 მანეთად, როდესაც მარტო ქაღალდი ჯდება 12 მანეთი.

ასეთ პირობებში რამდენი მეტი ტირაჟი აქვს გაზეთს, იმდენად მეტი აქვს ზარალი. და ასეთი საქმე სჭირს ყველა სხვა გამოცემებს. მათ დიდი ზარალი აქვთ და დეფიციტებიდან სულს ღაფავს.

„ერთობა" კი სასახლეს იძენს, სტამბებს იძენს. მოდით და გაიგეთ სოციალისტური მეურნეობის საიდუმლოებანი

მოდით და გაიგეთ საიდუმლოება „წითელი" სასახლის ყოფილ კრუზერშტენისი, ეხლა კი „ერთობისად" წოდებულ ქუჩაზედ რომ არის ამაყად გადმოჰიმული!

ჩვენ ვფიქრობთ, რომ დიდად სასარგებლო საქმე იქნება, თუ „ერთობის" რედაქცია თავის ჯადოსნურ სამეურნეო პოლიტიკას გაუმჟღავნებს თავის ამხანაგებს მომარაგების სამინისტროსა და ერობა—ქალაქებში რომ არიან მოკალათებული,

მათ ხელში ყოველი მომგებიანი საქმე ზარალს იძლევა. „ერთობა" უტყუარად საზარალო საქმეს მომგებიანად ჰხდის, ისე მომგებიანად, რომ რომელ სპეკულიანტს გინდათ, რომ ნერწყვი არ აუშალოს!

„ერთობას" წითელი სასახლე სოციალისტური მეურნეობის სამაყო ძეგლად დარჩება!

„მარჯა".

უცხოეთში

პოლონეთი და რუსეთი.

პ. მილიუკოვის წერილი.

ვ. ლ. ბურცევის გაზეთში „Общее дѣло"-ში, რომელიც პარიზში გამოდის მოთავსებულია პ. მილიუკოვის წერილი: „პოლონეთი და რუსეთი".

„პოლონელების იერიშებმა და უკანასკნელი დროის მისმა საერთაშორისო ტაქტიკამ, ანტიბოლშევიკური პატრიოტული რუსეთი საგონებელში ჩააგდო

ერთის მხრით, როგორც წითელ-არმიელების წინააღმდეგ მებრძოლთ, პოლონელები ყველა რუსულ ანტიბოლშევიკური ძალების ბუნებრივი მოკავშირენი იყვნენ; მეორე მხრით, არც ერთ რუსს, ბოლშევიკი იქნებოდა ის თუ ანტიბოლშევიკი,-არ შეეძლო შერიგებოდა პოლონელების პრეტენზიას რუსეთის მიწა-წყალზე, რაც უნდა „დემოკრატიული" არ ყოფილიყო ეს პრეტენზია.

მაშინ როდესაც ბოლშევიკები ვარშავის ალაყაფის კარებს მოადგენ და მინსკში თავიანთი უდიერი მოთხოვნილებით მთელ პოლონეთს ემუქრებოდნენ,- სწორედ ამ დროს ინგლისმა პოლონეთს დახმარებაზე უარი უთხრა და შეიქმნა ისეთი მდგომარეობა, თითქოს პოლონეთში ბოლშევიკური რეჟიმი უნდა დამყარებულიყო.

მაგრამ მოხდა „სასწაული" პოლონელებში აფეთქა პატრიოტულმა ცეცხლმა.

თანამედროვე ომი საზღვრებს ანგარიშს არ უწევს და თუ საფრანგეთის სარდლობამ პოლონეთის ლაშქრობას მისცა აუცილებელი სტრატეგიული ამოცანა მოწინააღმდეგის ცოცხალი ძალების გასანადგურებლად, მაშინ შესაძლებელი პოლონელებმა სამხედრო მოქმედება პოლონეთის ეთნოგრაფიული საზღვრებიდან გარედ გადმოიტანოს.

ნუ თუ ამ შემოხვევაშიდაც ჩვენ, რუსებს კვლავ გვატანჯავდეს იქნება ორაზროვნება, და არ გვეცოდინება, ვის ებრძვის პოლონეთი რუსეთის მიწა-წყალზე: ბოლშევიკებს თუ რუსეთს? ნუ თუ პოლონელები კიდევ განიმეორებენ თავიანთ საბედისწერო შეცდომებს, რომლებიც მათს სახელმწიფოებრივობას მას ემუქრება?

ეხლა, როდესაც არის მხოლოდ დასაწყისი ახალი გამარჯვებისა, შეიძლება იმისი გათვალისწინება თუ საით წაიყვანენ ისინი პოლონეთის ლაშქარს,—ასეთს დროს საშუალება გვაქვს კიდევ გავსინჯოთ ჩვენი ურთი-ერთობა და სინდისიერად შევრიგდეთ.

პოლონეთის ლაშქარისადმი მიმართულ პროკლამაციაში თავდაცვითი საბჭოს მოწოდებაში მთელი ქვეყნის მიმართ, ყველა თავისუფალი ქვეყნების სოციალისტებისადმი მიმართულ პოლონეთის სოციალისტური პარტიების მოწოდებაში და აგრეთვე მინსკში პოლონეთის რწმუნებულთა განცხადებაში, მე ვხედავ აშკარა ნიშნებს, რომ 1772 წ. საზღვრების მოთხოვნილება თუ პრაქტიკულად უარყოფილია, არ არის უარყოფილი და დავიწყებული ის იდეოლოგია, რომელსაც პოლონეთი ასეთი მოთხოვნილებამდე მიჰყავდა.

რით აიხსნება ის გარემოება, რომ პოლონეთის ეროვნული საბჭო ვარშავაზე ბოლშევიკების გალაშქრების დროს იხსენებს ეკატერინე 2 სა და სუვოროვს, და ლაპარაკობს „კიევის ბოროტმოქმედებაზე", როგორც 1772, 1775, 1831 და 1863 წლების ბოროტმოქმედების „გაგრძელებაზე? რას ნიშნავს თვით პოლონეთის პროლეტარიატის განცხადება, რომ თითქოს ეს იყოს რუსეთის წინანდელი ბარბაროსული შემოსევის გაგრძელება? რა არის რომ ზოგიერთ რუსულ ტერიტორიის შემოერთების ნაცვლად, რომელიც 1919 წ. საზავო კონფერენციამ განიზრახა, პოლონეთის დელეგატები მინსკში ბუნდოვან მოთხოვნილებებს აყენებენ პოლონელ უმცირესობით დასახლებულ ტერიტორიის შემოერთების შესახებ?

რუსეთის საზოგადოებრივი აზრი უცდის პოლონეთის გადაჭრილ პასუხს, რომ ამით შევძლოთ შეთანხმებული მოქმედება.

პეტლიურას მილოცვა.

პეტლიურამ გაუგზავნა მარშალ პილსუდსკის შემდეგი დეპეშა: „მთელი უკრაინის ლაშქარი მიესალმება პოლონეთის ლაშქრის ზეიმს და უხარიან გამარჯვება საერთო მტერზე. უკრაინელ ლაშქარს უნდა პოლონეთის ლაშქართან ერთად იბრძოლოს, რათა ქვეყნიერება იხსნას ძალმომრეობიდგან".

რუმინეთის ნეიტრალიტეტი.

რეიტერის სააგენტო რუმინეთის სარწმუნო წყაროებიდან იტყობინება ტყუილია ის ხმები, ვითომც ვარშავიდან გამოსულმა ჯარმა გენერალ ვრანგელის დასახმარებლად—რუმინეთის ტერიტორიაზე გაიარაო. რუმინეთისმთავრობა არ მისცემს ნებას მეომარ მხარეებს გადმოიარონ რუმინეთის მიწა-წყალზეო.

ზომები ესპანეთში ბოლშევიკების პროპაგანდის წინააღმდეგ.

ბარსელონიდან დეპეშით იტყობინებიან, რომ იქ დაიჭირეს 11 კაცი ბოლშევიკურ პროპაგანდაში შენიშნული, რომლებსაც ფერნანდო-პოზე ჰგზავნიან.

საზოგადო არჩევნები შვეციაში.

შვეციაში დაიწყო საზოგადო არჩევნები. რიცხვი ამომრჩევლობისა ბევრად ნაკლებია 1917 წლის არჩევნებთან შედარებით არჩევნებში თავ შეკავებულთა რიცხვმა ძალზე იმატა.

დამნაშავეების გაცემა.

უმაღლესმა საბჭომ გაუგზავნა ავსტრიის მთავრობას ფურცელი, სადაც ჩამოთვლილია დამნაშავე პირები, რომლებსაც ითხოულობს იტალია და სამხრეთ სლავია.

რუსეთის კომიტეტი ვარშავაში.

„რეჩი პოსპოლიტის" კორესპონდენტთან საუბარის დროს მ. ვ. სავინკოვმა თავმჯდომარეობით ვარშავაში მოქმედ რუსეთის კომიტეტის პოლიტიკა ასე განმარტა: რესპუბლიკა. დემოკრატიული რეფორმები. მიწა გლეხებს; ავტონომია რუსეთში მცხოვრებ ერებს.

ბ. ვ. სავინკოვმა აღნიშნა, რომ ამ პროგრამას იზიარებს ვრანგელის მთავრობაც, რომელთანაც ვარშავის კომიტეტი შეთანხმებით მუშაობს.

რუსეთის აღორძინებაო,—ბრძანა ბ. ვ. სავინკოვმა,—მოითხოვს პოლონეთის რუსეთის დაახლოვებას, და ორივე ერის ორიენტაციას საფრანგეთისკენ.

ბოლშევიზმი და უცხოეთის პრესა.

ბოლშევიკებმა მრავალი მოწოდებით მიჰმართეს მთელი ქვეყნის სოციალისტებს და სთხოვდნენ, არა თუ მხარი დაეჭირათ მათთვის, არამედ ესწავლათ ზოგი რომ მათგან და მათი „უბადლო" წესწყობილება ევროპაშიც გადაეტანათ, მაგრამ მათმა პროპოგანდამ სრულიად წინააღმდეგ შედეგებს მიაღწია და სიმპტომატიურია ის მოვლენა, რომ სწორედ იქ გაილაშქრეს მათს წინააღმდეგ უფრო, საცა მოსალოდნელი არ იყო. ესე იგი, საფრანგეთში.

დღეს საფრანგეთში დაწყებული სინდიკალისტებიდან და უკიდურეს სოციალისტებიდან და გათავებული ზომიერ სოციალისტებით ერთსა და იმავეს იმეორებენ, რომ ბოლშევიზმი დაღუპვაა.

არასოდეს სოციალისტურ პრესას არ გაულაშქრნია ისე მძლავრად ბოლშევიკების წინააღმდეგ, როგორც ისევ დღეს. „ჰუმანიტე" ერთ მხრივ, ხოლო მეორე მხრივ „პოპულერი", ანუ „ინფორმასიონ უკრიერ ესოსიალ" და მრავალი სხვა გარშემო იკრებენ კოშენს, ფროსალს, ლონგეს, მერჰაიმს, დიუმაცენს, დიუმას, რეის, ბარტუელს და სხვა. ყველანი ერთსულოვნად ილაშქრებენ ლენინიზმის წინააღმდეგ, რომელსაც უწოდებენ „მილიტარისტს, რეტროგრადს, რომელმაც შექმნა მთელი კასტა რეაქციონერებისა და მილიტარისტებისა, უფრო მკაცრი და შეუწყნარებელი, ვიდრე იყო ეს კაპიტალიზმის მიერ შექმნილი- მისი ადგილი საბრალმდებლო სკამი არის... ასეთსავე სიტყვებს წაიკითხავთ სხვა გაზეთის ფურცლებზე.

„რუსულ ბოლშევიზმს არ შეუძლიან არსებობა, თუ ხიშტებზე არ იქნება დაყრდნობილი, თუ არა ზარბაზნები, თუ არა ხიშტი და ბრძანება, რომ წინ იარონ შეუჩერებლივ, ბოლშევიზმს აქ ჩობამდე სამარე გაეთხრებოდა. მთელი მათი ქარხნები, მაღაროები, სახელოსნოები მხოლოდ და მხოლოდ სამხედრო მასალის დამზადებისთვისაა, სწერს მერჰაიმი: რკინის დისციპლინა! დიახაც, ბოლშევიკებმა მოახერხეს ამ „რკინის დისციპლინის" შექმნა, ისინი ამყარებენ ნამდვილს თანასწორობას იგი არის ტანჯვა-წამებისა, თანასწორობა მონობისა, სისაწყლისა და უბედურობისა, რასაც რომ ვხედავთ ყოველს ნაბიჯზე, ყოველს წინ შეხვედრილის დაკვნესაზე". და ამ „უმაღლეს და უმწუხარეს სინამდვილეს" მერჰაიმი და მისი ამხანაგები ასე უწინასწარმეტყველებენ მძაფრს მომავალსა: „ბოლშევიზმი მისცურავს, მაგრამ კი არ ვითარდება. იგი საბოლოოდ იძულებული მოხდება ძალას დაუთმოს, მაგრამ სამწუხარო ის იქნება, რომ ეს ძალა დემოკრატიული აღარ იქნება, არამედ ისეთი, რომელსაც ვერც შეარყევენ ვერც შეეთვისება გათიშვით [illegible] („ინფორ. უკრ. ე სოციალ").

ასე სწერენ ფრანგის მაღალი მოაზროვნენი, ასე დასტირიან დღევანდელ რუსეთის ბედს, რომელიც შავი ჭირის სახით მოწამვლას ექადება კაცობრიობას...

დეპეშები.

ფრანგული პრესა

პალატის არჩევნები.

ათინიდან მოსული ცნობების თანახმად საბერძნეთის პალატამ არჩევნებს ნოემბრისთვის დანიშნა.

ვრანგელის წინსვლა.

გენ. ვრანგელის ჯარმა ალექსანდროვსკის დაკავების შემდეგ ივანოვკასთან და ამარცხეს წითლები და ბერდიანსკს უახლოვდება.

ლიონის ცნობები.

ვივიანის ჩამოსვლა.

ლისაბონიდან იუწყებიან: მოვიდა გემი, რომელითაც გამოვიდა სამხრეთ ამერიკიდან ვივიანი თავის მეუღლითურთ.

იანსონის გადადგომა.

ბელგიის ეროვნულ თავდაცვის მინისტრმა იანსონმა საფრანგეთ ბელგიის ხელშეკრულების დადების გამო ხელმეორედ შეიტანა სამსახურიდან გადადგომის ქაღალდი.

ბრიუსელის კონფერენცია.

საერთაშორისო ფინანსიურ კონფერენციაში ბრიუსელში ბრანდმა აღნიშნა: საჭიროა მრეწველობისთვის კაპიტალი და აგრეთვე სახელმწიფო ხარჯების შემცირებაო.

შემდეგ ბელგიის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე შეეხო კაპიტალზე გადასახადის დადების საკითხს. ინგლისის დელეგატმა ლორდ ჩარლმა საჭიროთ აღიარა მუშების გაძლიერება და ხარჯების შემცირება. იტალიის დელეგატმა ვიქტორია რიჩმა ნედლი მასალის ძმურად გაყოფის აზრი გამოსთქვა საფრანგეთის დელეგატი შეეხო საფრანგეთის ეკონომიურ მდგომარეობასა და მის ბიუჯეტს. მანვე აღნიშნა, რომ საფრანგეთის დანგრეულ ადგილების ისევ აღდგენა სხვა ქვეყნებზედაც ახდენს გავლენას, ვინაიდან 150000 აკრი მიწა ისევ დაამუშავეს და ეს გარემოება უთხოეთში საფრანგეთისათვის პურის შეძენას შეამცირებს.

ბრიუსელის კონფერენცია.

ბრიუსელის ფინანსიურმა კონფერენციამ გადასწყვიტა კომისიის დანიშვნა გადაწყვეტილებათა შესამუშავებლად.

ხალხთა ლიგის დეპეშა.

ხალხთა ლიგის თავმჯდომარემ პოლონეთის და ლიტვის მთავრობებს გაუგზავნა დეპეშა რომლითაც ის ითხოვს, რომ დახმარება გაუწიონ იმ კომისიას, რომელსაც საზღვრების გავლება აქვს დავალებული. ამას გარდა ბურჟუამ დეპეშით მიმართა პოლონეთს და სთხოვა მისცეს მან ლიტვას დრო თავის ვალდებულებათა შესასრულებლათ.

რუსეთ-პოლონეთის შეთანხმება.

რიგიდან მოსულ ცნობის თანახმად პოლონელებსა და რუსებს შორის თითქმის სრული შეთანხმება მომხდარა (დამახინჯებულია).

ვილნოს საფრთხე.

ვარშავიდან იუწყებიან: გროდნოს აღების შემდეგ პოლონეთის ჯარები ვილნოსათვის საფრთხეს წარმოადგენსო.

იტალია და სამხრეთ-სლავია.

იტალიასა და სამხრეთ-სლავიას შორის პირდაპირი მოლაპარაკების დაწყების აუცილებლად სთვლიან.

იტალია და პოლონეთი.

იტალიის მთავრობა იხელმძღვანელებს ნიტის დროს პალანცაში დადებულ ხელშეკრულებით.

მოსკოვის ცნობები.

სამხედრო მოქმედება.

მოსკოვი. ენკენისთვის 28-ს. სამხედრო ცნობები. გროდნოს რაიონში ბრძოლა გრძელდება, ჩვენ სოფელი ოზუხოვო დავიკავეთ. (გროდნოს აღმოსავლეთით 15 ვერსზე). სრულიად გავანადგურეთ შემოჭრილი მტრის პოლკი, ხელთ ვიგდეთ ორი ზარბაზანი, 6 ტყვიისმფრქვეველი და ტყვეთ წამოვიყვანეთ 150 კაც. სლონიმის სამხრეთ-დასავლეთით 25-40 ვერსზე ბრძოლა სწარმოებს მდ. პრიპიატის რაიონში ამ მდინარის მარცხენა ნაპირზე გადმოსულ მტრის პარტიზანებთან ბრძოლა შემდ მტერმა სადგ. სარნი დაიჭირა. როვნოს რაიონში ბრძოლა გრძელდება. ჩვენ ჯარს უჭირავს სტარო-კონსტანტინოვა, დ. ჩიკოლოვცი და გნდ. პროსკუროვზე შეტევას აწარმოებს. ალექსანდროვს-ზინელნიკოვოს რკ. გზის რაიონში სლაევოროდთან ჩვენი ჯარი მტერს ებრძვის. სტარი ვოლკოვასის რაიონში მტერი შეტევას განაგრძობს.

საინფორმაციო განყოფილების ცნობები

საფრანგეთის და ვრანგელის მთავრობ

მოსკოვი. სექტემბრის 20. (იზვესტია № 192) სტოკჰოლმიდან რადიო დეპეშით იუწყებიან, რომ საფრანგეთის მთავრობასა და ვრანგელის შორის შეთანხმება მოხდა, ვრანგელმა თავს იდვა მიიღოს რუსეთის ყოველგვარი ვალდებულება საფრანგეთის პრიორიტეტით პროცენტებზე, პროცენტებს გად დით. 2 საბჭოთა რუსეთის წყობილების დამხობის შემდეგ საფრანგეთი გად დის ძველ რუსეთის ვალებს და ახ 61 ნახ. პროც. 3. პროცენტების და ვალების ყოველწლიურად გადახდის უზრუნველსაყოფად საფრანგეთს გადაეცემა საექსპლოატაციოთ ა) ევროპის რუსეთის რკინის გზები, ბ) შავისა და აზოვის ზღვებზე საბაჟო გადასახადთა აკრეფის უფლება, (საფრანგეთს მიეცემა უკრაინასა და ყუბანში არსებული ზედმეტი პური, დ) ნავთისა და ბენზინის 1|3, ე) საფრანგეთს გადაეცემა დონის ქვანახშირის 1|4, ეს მუხლები ძალაში შედის ვრანგელის მიერ რუსეთის სა ნადო ტერიტორიების დაკავების თა ვე. 4) რუსეთის ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროებთან იარსებებს საფრანგეთის საფინანსო და სავაჭრო კანცელარია, რომლის უფლებაც განსაზღვრული იქნება განსაკუთრებული ხელშეკრულებით. 5) რუსეთი ლდებულად იღებს თავს აღადგინოს ვისი სამხედრო ორგანიზაცია. 6) საფრანგეთი კისრულობს რუსეთში სამხედრო იარაღების და მასალების ქარხნების აღდგენას. საფრანგეთი და რუსეთი ბენ ურთიერთშორის შემტევსა და თავდაცვით კავშირს ოცი წლის ვადით.

ესტონეთის შუამდგომლობა

ლონდონი. სექტემბრის 20. მორნ პოსტის" ცნობით ესტონეთის დელ ციამ სთხოვა ვილსონს ესტონეთის მოუკიდებლობის აღიარება.

ლტოლვილი წითელი არმიელები

ბერლინი. სექტემბრის 18. ბერ ნის პრესის ცნობით გერმანიის სა რეში გადასულ ბოლშევიკთა რიცხვი აღწევს 143,000 კაცს 30 ათასი ცხენ მათ განსაიარაღებლად არავითარი არ მიუღიათ. პოლონეთის ჯარის ზურგში უკან ამოდენი ჯარის დგომა საფრ უქადის პოლონეთს და ყოველ დღე და ველოდეთ მათგან პოლონეთზე დასხმას.

პარლამენტის გახსნა.

ათინა. 12 სექტემბერი. სექტ რის 8 დიდ ძალი ხალხის თანდასწრ გაიხსნა საბერძნეთის პარლამენტი. პი რველი სხდომა ვენიზელოსის პატ ცემლად შესდგა. პარლამენტის თავ ომარემ მისასალმებელ სიტყვებში წინადადებას უყარა კენჭი: იღებს რა სახეში საზავო ხელშეკრ ბას ოსმალეთთან და დიად ერო საქმეს და გამოხატავს რა მთელ ს ძნეთის აზრს, აცხადებს ვენიზე სამშობლოს მხსნელად და ადგე აკეთოს პარლამენტის სხდომის და ზში ვენიზელოსის პატივსაცემლა პატიო დაფა. ეს წინადადება ლი იქმნა ხმის დიდი უმრავლე

ამის შემდეგ სამადლობელი სიტყვა წარმოსთქვა ვენიზელოსმა, რომელმაც თავის სიტყვაში, სხვათა შორის კატეგორიულად უარყო ხმები იმის შესახებ, თითქოს მომავალი არჩევნები სამხედრო პარტიის გავლენის ქვეშ მოხდებოდეს. ახალი პალატა, განაცხადა ვენიზელოსმა, არ იქნება დამფუძნებელი კრება, იგი სარევიზიო ყრილობა იქნებაო, ამასთანავე ვენიზელოსმა აღნიშნა საჭიროება კონსტიტუციის რამოდენიმე მუხლის შეცვლისა.

უნგრეთის ბოლშევიკები.

ვენა. 14 სექტემბერი. რეიტერის სააგენტოს ცნობით უმაღლესმა სასამართლომ უნგრეთის მთავრობას უნგრეთიდან გაქცეულ ბოლშევიკების გაცემის შესახებ უარი უთხრა.

იტალია და რუსეთი.

რომი. 13 სექტემბერი. ,,ჟურნალ დე იტალია'' სწერს: იტალიამ 4.000 რუსი ტყვე 303 იტალიელზე გასცვალა. მაშინ როდესაც რუსები ახლით ჩაცმულნი და ორ ორ რწყვილ ფეხსაცმელებით გააგზავნეს, იტალიელები მშიერ მწყურვალნი დახეულ ტანსაცმელში მოვიდნენ. ეს კიდევ ცოტაა-ამბობს გაზეთი: იტალიის გემი, რომლითაც გაიგზავნა რუსი ტყვეები, უკან დაბრუნების დროს დაეჯახა ბოლშევიკების ნაღმს და დაზიანდა. დაიღუპა 6 იტალიელი. ესეც ცოტაა იტალიამ გაგზავნა რუსეთში წამლეულობით დატვირთული ტრანსპორტი, რის სანაცვლოდ მან მიიღო ან დამპალი, ან ჩხირებიანი ხორბალი გაზეთი სწერს: მოსკოვის ლაყბობა ვერ გააძლებს ვერც იტალიას და ვერც რუსეთსო.

ვაჭრობა-მრეწველობა.

ბანკები და ვალუტა. გაზ. ,,ბორბას'' გადმოცემის მთავრობის წრეებში დიდი ფაცა-ფუცია ვალიუტისა და სპეკულიაციის წინააღმდეგ ზომების შესამუშავებლად. განსაკუთრებული ყურადღება მიქცეულია ბანკების მუშაობაზე. სურთ ალაგმონ სპეკულიაცია ბანკების საშუალებით ჩადენილი. ფინან. და ვაჭ. მრეწვ. სამ ნისტროს აზრათ ჰქონია დაარსება საკონტროლო ინსპექციისა ყველა ბანკებში, რომელნიც ამ მხრივ ეჭურად საღები იქნება. ეს კონტროლი თვალყურს ადევნებს, რომ ბანკის ოპერაციები დარჩეს ნამდვილ საკრედიტო დაწესებულების ოპერაციებათ და არ უწყობდეს ხელს რაიმე სპეკულიანტიურ საქმეებს.

ამის გარდა სურთ დააკანონონ, რომ ყველა დიდმა ბანკებმა გამოაქვეყნონ თავიანთი ანგარიშები ყოველ კვირეულათ იმის აღნიშვნით, თუ რას უდრის საშუალო რაოდენობა ნაღდი დახლისა. ჩვენი რედაქცია ამ საგანზე ხვალ გამოთქვამს თავის აზრს.

ეროვ. დემოკ. სტუდენტთა და მოწ. მთავ. კომიტეტ. ცნობები.

მოსწავლეთა ორგანიზაციებს ს დმ.

გამოვიდა და უკვე დაეგზავნა მოსწავლეთა ყველა ორგანიზაციებს, მომავალ სამოსწავლო წლისათვის სამუშაო მასალები: ინსტრუქცია, სარეგისტრაციო და საწევრო ბარათები.

იმ ორგანიზაციებს, რომელთაც ეს მასალები არ მიუღიათ ევალებათ საჩქაროთ გვაცნობონ.

ხსენებულ მასალების მიღება შეუძლიათ, იმათაც ვისაც სურთ ახალი ორგანიზაციის დაარსება.

—

სტუდენტთა და მოსწავლეთა მთავარი კომიტეტის სხდომა.

ხუთშაბათს 30 ენკენის. საღ. 7 სათ. მთავარი კომიტების ბინაზე, დანიშნულია ეროვ. დემ. პარ სტუდენტთა და მოსწავლეთა მთავარი კომიტეტის სხდომა. განსახილველია გადაუდებელი საკითხები. წევრებს ევალებათ დაესწრონ.

ახალი ამბები.

მთავრობაში.

მთავრობის თავმჯდომარესთან. სექტემბრის 28. მთავრობის თავმჯდომარე ნ. ჟორდანია ინახულა ევროპის სოციალისტთა დელეგაციის წევრმა ჰიუსმანმა და ერთს საათს ებაასა.

— **მისალმება**, სავაჭრო-სამრეწველო პალატამ მთავრობის თავმჯდომარეს ნ. ჟორდანიას მისასალმებელი დეპეშა გაუგზავნა.

სამინისტროებში.

— **შინაგან საქმეთა მინისტრის ცირკულიარი.** 28 სექტ. ყველა სამაზრო ერობის გამგეობებს, ქალ. ტფილისის მილიციის უფროსს და აფხაზეთის კომისარიატს. კანცელარია ამასთანავე გაცნობებთ, ცნობისათვის და სათანადო განკარგულების მისახდენად, რომ თანახმად სამხედრო მინისტრის ბრძანებისა, ვინაიდან თავდაცვის საბჭომ თავისი მოქმედება დაამთავრა და ყველა 1888, 1889, 1894, და 1895 წლებში დაბადებულნი მოლაშქრე და სათადარიგო ჯარის კაცნი დათხოვნილნი არიან ორი თვის შვებულებაში, ამის გამო ამა წლის 4 მაისიდან თავდაცვ ს საბჭოს დადგენილება ოჯახის ერთად ერთ მარჩენალისა სამხედრო სამსახურიდან განთავისუფლების შეჩერების შესახებ გაუქმებულია და ხელ ახლად ძალაში შედის 20 მაისის კანონი.

— **ფინანსთა სამინისტროში. სახელმწიფო ბიუჯეტის მოწესრიგება.** ფინანსთა მინისტრის საბჭოს სხდომაზე სექტემბრის 27, საბჭოს წევრმა ე. კოხლოვსკიმ გააკეთა მოხსენება მიმდინარე წლის სახელმწიფო ბიუჯეტის მოწესრიგების შესახებ. მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ხარჯთ-აღრიცხვის პროექტი შედგენილი იყო კიდევ აპრილში, სანამ საჭირო საგნებზე ფასების უეცარი მომატება მოხდებოდაო. ფასების გაზრდას უნდა მოეხდინა გავლენა ხარჯთ აღრიცხვის გასავალ ნაწილზე. ასეთ შემთხვევაში აუცილებელია დეფიციტი მაშინაც კი რომ შემოსავალ ნაწილის ყოველ მუხლს გაემართლებია მოლოდინი. სახელმწიფო ბიუჯეტის მოსაწესრიგებელ ზომებს შორის მომხსენებელმა დაასახელა: 1) უმაღლესი ეკონომიური საბჭოს სასწრაფოდ დაარსება და მასთან ბიუჯეტის საკითხის შესასწავლად საგანგებო სექციის მოწყობა 2) შემოსატან და გასატან საქონელზე დადებულ ძველ საბაჟო გადასახადების გადასინჯვა, 3) ყურძნის ღვინის შესახებ გამოცემულ კანონის გავრცელება რესპუბლიკის ყველა ქალაქებზე, 4) გადასინჯვა კანონისა თამბაქოზე აქციზის დაწესების შესახებ 5) შემოსავლის კაპიტალზე დაწესებულ გადასახადის და სამრეწველო გადასახადის შეკრების სისტემის რეორგანიზაცია. მომხსენებელმა აღნიშნა რომ დასახელებულ ზომებს აქვს სასწრაფო ხასიათი და რომ მათი განხორციელება რაც შეიძლება მალე, უნდა მოხდეს. დასახელებული ზომები საბჭომ ცნობად მიიღო.

— **ფინანსთა მინისტრის საბჭოში.** ს. ავალიანის თავმჯდომარეობით შემდგარ ფინანსთა მინისტრის საბჭოს სხდომაზე გაირჩა საკითხი ტფილისის 2 საურთიერთო ნდობის საზოგადოების ტფილისის სავაჭრო-სამრეწველო ბანკად გადაკეთების შესახებ. მოხსენება ვ ბრეგაძემ გააკეთა. საკითხის განხილვის შემდეგ გადაწყდა საკრედიტო დაწესებულებ. ს მოსამსახურეთა ჯამაგირების ცენტრო ბანკის შემდგენლობის ჯამაგირებთან შესაფარდებლად მოხდეს ამ საკითხის ხელმეორე გარჩევა საბჭოს მომავალ სხდომაზე. ამავე სხდომაზე გადაწყდა გადიდდეს კოოპერატიულ ბანკის ძირითადი თანხა 10 მილ. მან.

ერობაში.

— **ქალაქთა მომარაგება ერობათ** ერობათა კავშირის კომიტეტის მიმართვა შემდეგი ცირკულიარით მიმართა ყველა სამაზრო ერობას. (გაგრძელება)

ერობაც კანონით არ არის ნებადართული, დასაშვები არ არის და საერობო დაწესებულებანი, როგორც სახელმწიფოს მმართველობის ორგანოები ადგილობრივ სათანადო ზომებს მიიღებენ და კანონის საწინააღმდეგო არა იქნება რა ნათელი.

ერობათა კავშირის კომიტეტი ღრმად დარწმუნებულია, რომ საქართველო საერობო დაწესებულებანი, როგორც სახელმწიფოს მმართველობის ორგანოები ადგილობრივ მტკიცედ ადევნებენ თვალყურს კანონების დაცვას, არავითარ გადასახადს, არა სასანონმდებლო წესით შემოღებულს, არ დაუშვებენ, თავის მაცადინობით და რიგით მიაწოდებიებენ სოფლებს ქალაქისათვის ხელმისაწვდომ ფასებში სურსათის და მით იხსნიან სახელმწიფოს არა სასურველ მოვლენისაგან, რომელიც მას მთელის, თუ სასურსათო საკითხი სასურველად მოწესრიგებულ არ იქმნა.'

ბანკებში.

— **მოსკოვის სახალხო ბანკი.** როგორც გავიგეთ საბჭოთა რუსეთის სრულუფლებიან წარმომადგენლის მოადგილეთ ლ. სტარკმა საქართველოში არსებულ მოსკოვის სახალხო ბანკს დაუნიშნა კომისარათ ი. კადიში, რომლის განკარგულების შესრულებაც სავალდებულოა ბანკისათვის. ამის გამო მოსკოვის სახალხო ბანკის განყოფილებამ აცნობა რუსეთის სრულ უფლებიან წარმომადგენელის მოადგილეს, რომ ბანკი არსებობს 1911 წლ. წესდების მიხედვით, წარმოადგენს კერძო უფლებრივ ხასიათის კოოპერატიული დაწესებულებას და მოქმედობს საქართველოს რესპუბლიკის კანონების მიხედვით. ამით კომისრის დანიშვნა იურიდიული გაუგებრობაა და კომისრის დანიშვნა ჩვენთვის ყოვლად მიუღებელიაო.

სასამართლო.

— **სენატში.** სექტემბრის 10 სენატის სისხლის სამართლის საკასაციო დეპარტამენტში გემი ,,მარიას'' შეიარაღებულ გაცარცვის საქმე არის დანიშნული. ეს საქმე გარჩეული იყო ქუთაისის საოლქო სასამართლოში, რომელმაც უმეტესობა პასუხის გებაში მიცემულისა გაამართლა. საქმე პროკურორის მიერ პროტესტის გაცხადების გამო ხელმეორეთ ირჩევა.

პროფესიონალური კავშირებ.

— **მუშათა დელეგაცია.** საქართველოს პროფესიულ კავშირთა ცენტრალურ საბჭოს აღმასრულებელმა კომიტეტმა პროფესიულ კავშირებს შემდეგი განცხადებით მიმართა: ,,პატივცემულო ამხანაგებო, როგორც თქვენ მოგეხსენებათ რუსეთის საბჭოთა მთავრობამ არ შეუშვა რუსეთში ჩვენი დელეგატები. აღმასრულებელმა კომიტეტმა სექტემბრის 21 იმსჯელა, შექმნილ მდგომარეობის შესახებ და შემდეგი დადგენილება გამოიტანა: 1) უშუამავლოთ მიმართოს რუსეთის პროფესიონალურ კავშირებს და აცნობოს, რომ საქართველოს მუშათა კლასი ცდილობდა გაცნობოდა რუსეთის მუშათა კლასის ეკონომიურ და პოლიტიკურ მდგომარეობას, გაცნობოდა მის მუშაობას და ურთიერთ გაცნობით აღედგინა ძმური კავშირი. თუ მას (ჩვენ მუშათა კლასს) წაართვეს ეს საშუალება, დეე მაშინ თვითონ რუსეთის მუშათა კლასმა გამოგზავნოს ჩვენთან თავისი დელეგაცია: ჩვენ ვაძლევთ სრულ გარანტიას, რომ ჩვენი მთავრობა დართავს მას ნებას რესპუბლიკაში შემოსვლისას და რომ დელეგაცია დიდი სიხარულით იქმნება მიღებული 2) გაეგზავნოს მიმართვა პროფესიონალურ კავშირთა საერთაშორისო ბიუროს და აცნობოს მას, რომ ჩვენ დელეგაცია არ იყო შეშვებული რუსეთში, რომ ბოლშევიკურ მთავრობას ეშინია გამოაქვეყნოს შედეგი თავისი მუშაობისა და რომ ამიტომ ხელი შეუშალა საქართველოს მუშებს უშუამავლოდ გაცნობოდა ბოლშევიკების მუშაობას. გაეცნო რუსეთის ,,სოციალიზმის'' და რუსეთის მუშათა კლასის მდგომარეობას 3) აცნობოს ყველა პროფესიონალურ კავშირის და საბჭოს რუსეთში დელეგაციის არ შეშვების შესახებ, რომ საქართველოს მუშათა კლასს და მთელ დემოკრატიას ქონდეს წარმოდგენა რუსეთის დღევანდელ მმართველობის მოქმედებაზე. გაცნობებთ რა ზემოაღნიშნულს ვთხოვთ სარაიონო კავშირებს გაეცნოთ შექმნილ მდგომარეობას და გამოიტანოთ ამის შესახებ თქვენი დადგენილება.

მუშათა ცხოვრება.

— **მუშათა წარმოდგენები.** სახელმწიფო თეატრის მმართველობა იუწყება, რომ მუშათათვის ოპერები დაიწყება ოქტომბრის 9. ოპერები—საოპერო თეატრში შაბათობით დაიდგმება და დრამები დრამატიულ თეატრში კვირაობით.

სხვა და სხვა

— **ინგლისის წარმომადგენლის ჩამოსვლა.** სექტემბრის 28 თბილის ჩამოვიდა ამიერ კავკასიის უმაღლეს კომისრად დანიშნული ინგლისის წარმომადგენელი პოლკოვნიკი სტოკსი. სადგურზე მათ შესახვედრათ გამომწკრივებული იყო საპატიო ყარაული მუსიკით. მას სადგურზე შეხვდენ გარეშე საქმეთა მინისტრის ამხანაგი საბახტარაშვილი. ქარციძე სამხედრო მინისტრის მოადგილის აღმასრულებელი გენ. ქედევანიშვილი გენ. ჯაფარიძე და სხვები. პოლ. სტოკსმა ჩაუარა საპატიო ყარაულს და მისალმების შემდეგ გაეშურა მისიისკენ. დიდი ბრიტანეთის უმაღლეს კომისართან ჩამოჰყვა პოლ. ბროუნი, შვებულებიდან დაბრუნებული მისიის მდივანი ჩურკერი და ლეიტენანტი ორბელიანი. რომელიც დიდი ბრიტანეთის წარმომადგენელს ბათომში შეხვდა.

სექტემბრის 28 საღამოს დიდი ბრიტანეთის წარმომადგენელი პოლკოვნიკი სტოკსი ინახულა ევროპის სოციალისტთა დელეგაციის წევრმა მაკდონალდმა და ხანგრძლივი საუბარი ჰქონდა მასთან.

სექტემბრის 29 დილის 11 საათზე ბათომიდან სტამბოლს უნდა წასულიყო დიდი ბრიტანეთის წარმომადგენლის თანამდებობის დროებით აღმასრულებელი ლიუკი, რომელმაც თავის თანამდებობა პოლკ. სტოკს გადასცა.

— **რკინის გზებზე** რკინის გზის მილიციის უფროსმა თბილისის რ. გ. სადგურის უფროსს და სამგზავრო მატარებელთა პარკის გამგეს შემდეგი აცნობა: სექტემბრის 18, იმ დროს, როდესაც პარკიდან სადგურზე გამოიყვანეს სამგზავრო მატარებლები № 7 და 8 შეამჩნიეს, რომ ვაგონებში უკვე იყო მრავალი მგზავრი. ეს იმის მაჩვენებელია, რომ მოსამსახურენი წინასწარ უშვებენ მგზავრთ ვაგონეებში ადგილების დასაკავებლად ამით ირღვევა სამსახურის ვალდებულება სავალდებულო წესები და, რაც უმთავრესია, მავნე ელემენტებს საშვალება ეძლევათ დაუსჯელად სცარცვონ სახაზინო და კერძო პირთა ქონება. ამ გვარმა დაუდევრობამ 1917—18 წელს სამგზავრო ვაგონები ხმარებისათვის სრულ გაპარტახებამდე მიიყვანა. მაშინ ამის წინააღმდეგ მკაცრი ზომები იქმნა მიღებული. გთხოვთ მიაქციოთ ამ გარემოებას ყურადღება არ შეიძლება დავიწყებულ იქმნას წარსული გაკვეთილები. საჭიროა ბოლო მოეღოს ამ ბოროტ-მოქმედებას.

— **ქართოფილის მოწოდება.** მუშათა მაგიდამ საქართ. რკ. გზათა სასურსათო განყოფილებას მისცა წინადადება დაამზადოს მუშებისათვის და მოსამსახურეთათვის 100.000 ფუთი ქართოფილი.

— **პურის გამოცხობის გაუმჯობესება.** მუშათა მაგიდამ ცენტრალურ ქალაქის № 2 პურის საცხობისთვის საჭირო მექანიკურ დგამის ხარჯთ აღრიცხვა შეადგინა- დგამი 2 მილ. მან. ჯდება. ასეთი მანქანებით ხდება მექანიური ცომის მოზელა და სხვა. მუშათა მაგიდის წინადადებით სასურსათო განყოფილება ახალ მანქანების დადგმას ამ დღეებში უნდა შეუდგეს.

— **ნახშირის მიწოდება.** მუშათა მაგიდამ მიწათ მოქმედების სამინისტროს ტყის განყოფილებასთან ხელშეკრულება დასდვა ხის ნახშირის მიწოდების შესახებ.

— **გენერალი კვინიტაძე** ჯარების ყოფილი მთავარი სარდალი გენერალი კვინიტაძე სამსახურიდან გავიდა და ამასთანავე თავი დაანება სამხედრო სკოლის უფროსობასაც.

— **ქურდობა.** სამშაბათს 28 ენკენისთვეს მე 8-ე უბანში გაქურდეს მოქალაქე ეფიმია ტერ-მარტიროსოვი, რომელსაც მოპარეს 300.000 მან. **საღირალი** ნივთები და ორი დიდი ხალიჩა, რომლის ღირებულება გამოურკვეველია, მე 8-ე უბნის კომისრის თანამდებობის აღმასრულებელმა შ. გომართელმა მილიციონერ ივლ. ჯანელიძის უახლოეს დახმარებით შეიპყრო ქურდები: სტ. კარალოვი, სტ. აივაზოვი და სხვა, რომლებიც ქურდობაში გამოტყდენ და ნივთები უკლებლივ წარუდგინეს მილიციას.

— **სია** იმ საკრედიტო დაწესებულებებისა, რომელთაც მინიჭებული აქვთ უცხო ვალიუტით ოპერაციის წარმოება, თანახმად მთავრობის ა. წ. აგვისტოს 31 დადგენილებისა და უცხო ვალიუტის მომწესრიგებელ განსაკუთრებულ თათბირის დადგენილებისა 16 სექტემბრიდგან: 1) კავკასიის ბანკი, 2) სავაჭრო ბანკი, 3) ამიერ კავკასიის ბანკი, 4) ევრო-კავკასიის ბანკი, 5) ცენტრობანკი 6) ფრიჯონოვის ბანკირ ს კანტორა, 7 აზოვო-დონის ბანკის თბილისის განყოფილება, 9) საერთაშორისო ბანკის თბილისის განყოფილება 10) იტალო-კავკასიის ბანკის თბილისის განყოფილება და 11) საქართველოს კოოპერატიული ბანკი. სია პროვინციის იმ საკრედიტო დაწესებულებებისა, რომელთაც მიენიჭებათ უცხო ვალიუტით ოპერაციის წარმოების უფლება განსაკუთრებით იქნება გამოცხადებული, ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრის მოვ. აღმ. ს, ავალიანი.

— **ნავთის წარმოება.** ბაქოელ ნავთის მწარმოებელთა კომპანიამ ინჟ. რ. დ. ყაზბეგის მეთაურობით მთავრობის ნებართვით შეუდგა მუშაობას ნავთის ადგილებისა 1. ნორიოში სიღნაღის მაზრაში.

—**ავჭალის წყალსადენთან გაშენებულ** ბოსტან წყალსადენის დირექცია აფარიოებს 10 დეს. 30 დესეტინამდე.

სამხატვრო ქრონიკაში.

სახელმწიფო თეატრი. სახელმწიფო თეატრის სამმართველომ დაამუშავა ანგარიში თეატრის წარსულ სეზონში მუშაობის შესახებ. თანახმად ანგარიშისა საოპერო სეზონი შარშან დაწყებულა ოქტომბრის 4 და დასრულებულა ივნისის 4. სულ თეატრში 380 სპექტაკლი შემდგარა, აქედან მუშებისათვის დადგმულა 26 სპექტაკლი, ჯარისათვის 8, და 43 სამხატვრო. გარდა ამისა მოეწყო: 3 ლექცია, 8 კონცერტი, 7 ქართული სპექტაკლი, 2 სომხური, 2 თათრული და საბავშვო სპექტაკლები.

შეცდომის გასწორება.

გუშინდელ ნომერში რ. ინგილოს წერილში: ქართველ—უდიების შუამდგომლობა სწერია: „რომ ვ გულისხმოთ აზერბაიჯანი დამოუკიდებელ სახელმწიფო ერთგულათ..." უნდა იყოს:... სახელმწიფო **ერთეულად.**

ბათომი.

ბათომი. სექტემბრის 28. პირდაპირი მატარებლით დღეს დილით მეუღლითურთ ჩამოვიდა კარლ კაუცკი მათ ნავთსადგურში შეხვდა ბ. ჩხიკვიშვილი საქ. ს. დ. პარტიის ცენტრალურ კომ. წარმომადგენელი დ. შარაშიძე, ვლასა მგელაძე, წულაძე, და კაუცკის მდივანი ოლბერტი, ს. დ პარტიის ცენტრალურ კომიტეტის სახელით კაუცკის მიესალმა დ. შარაშიძე. კაუცკიმ თავის მგრძნობიერ სიტყვაში მადლობა გადაუხადა დამხვდურთ. კაუცკი ბათომის დაუცდის დელეგაციის დანარჩენ წევრებს და 29 საღამო ან 30 დილით ტფილისაკენ გამოემგზავრება. კაუცკიმდ დაათვალიერა ბათომი, მახინჯაური და ჩაქვის მიდამოები. საღამოს ბარცხანაში შემოსვლისას მას შეხვდა გვარდია და ბარცხანის დემოკრატია. ავტომობილი ვაშასა და გაუმარჯოს ძახილით გაიცილეს. საღ. მის 7 საათზე მუშათა სახლეში გაიმართა მუშათა მიტინგი. კაუცკიმ მიტინგზე სიტყვა წარმოსთქვა. მის სიტყვას ხანგრძლივმა ტაშის ცემა მოყვა. ქუჩიდან მოისმა ხალხის ხმა ვაშა კაუცკის და რევოლუციონურ სიმღერები. კაუცკი აივანზე გამოვიდა და ხალხს ქართულად მიესალმა. ბათომის მუშათა კლასმა სათანადოთ იდღესასწაულა კაუცკის მოსვლა და აქ ყოფნა.

სოციალისტური დელეგაცია იმერეთში.

ტყიბულის მუშებს შემდეგი სიტყვით მიმართა ფრანგმა დელეგატმა მუშამ ინგელსმა:

,,ის პოლიტიკური ფორმები, რომელიც თქვენ შექმენით, ჩვენთვისაც დიდათ საყურადღებოა, თქვენ, რომ დამარცხდეთ აქ, მაშინ კაპიტალისტები და მათი მთავრობები ეტყვიან თავის ხალხებს: აი რა მოუვიდა სოციალისტურ მთავრობას, მას არ შესწევს ძალა მართოს ქვეყანაო და ეს ფაქტი ევროპაში ჩვენს მტრებს მისცემდა იარაღს ხელში დღეს კი ჩვენთვის ხელით საჩვენებელია საქართველო და ამ მნიშვნელობას როცა გაითვალისწინებთ, მაშინ თქვენ გაათკეცებით უნდა იმუშაოთ, რომ განამტკიცოთ ბრძოლით მოპოვებული თავისუფლება. საფრანგეთის მუშები იბრძვიან, რომ მაღაროები გადაეცეს სახელმწიფოს, თქვენ კი ეს უკვე გაქვთ, უნდა დაფასოთ იგი და გვერდში უნდა ამოუდგეთ სოციალისტურ მთავრობას, რომ შექმნათ სამაგალითო შრომის პირობები და წარმოება გააუმჯობესოთ. ეს იქნება უდიდესი საბუთი ჩვენს ხელში ჩვენ მთავრობათა წინაამდეგ''.

ქუთაის მიტინგზე.

თომას შოუ. ის სხვათა შორის ამბობს: ,,მე აქ თქვენთან მოვედი არა მარტო როგორც წარმომადგენელი ინგლისელ მუშებისა, არამედ მთელი პროფესიონალური მოძრაობისა, ვინაიდან მე კავშირში შევედი 11 წლიდან. დღემდი ინგლისის პროფესიონალური მოძრაობა წარმოადგენდა უფრო აპოლიტიკურ ორგანიზაციას. ეხლა კი, ომის შემდეგ, როცა წამოიჭრა მრავალი კითხვები, რომელთა გადაჭრას მოითხოვს ცხოვრება, ჩვენმა პროფესიონალურმა მოძრაობამ შესცვალა გეზი, მან მონახა თქვენ მიერ არჩეული გზა. ჟენევის ინტერნ. კონგრესზე მე ვნახე თქვენი წარმომადგენელი და გისურვებთ, რომ პროფეს. მოძრაობის კონგრესსაც დაესწრებოდეს თქვენი წარმომადგენელი, რათა შეხვიდეთ საერთაშორისო მუშათა ერთ მთლიან ოჯახში''

დელეგატი **ამხ. მარკე**, რომელნიც სხვათა შორის ამბობს; ,,სამი წლის წინეთ დაემხო რომანოვთა სამეფო ტახტი და ჩვენ, ევროპის სოციალისტებს გვწამდა, რომ რუსეთი გაჰყვებოდა სწორ გზას. მარა შევცდით. მხოლოდ თქვენ შეგრჩათ რევოლიუციით მონაპოვარი და ჩვენ აქ ვხედავთ, რომ ორი წლის განმავლობაში გამოგივლიათ ბევრი გაჭირვება, ვიცით რომ არა ერთ და ორ დღეს მოგკლებიათ პური, მაგრამ თუ არა შრომით, ვერ დასძლევთ. თქვენ იცით რომ ერთის დაკვრით შეუძლებელია ქვეყნის გარდაქმნა, რომ საჭიროა მეთოდიური თანდათანობით მუშაობა და არა ანარქიული გამოსვლა და უკვე შექმნილის განადგურება. და ჩვენ, როცა მივალთ, ევროპაში, ვიტყვით, რომ აღმოსავლეთში არის ერთი პატარა ქვეყანა, რომელსაც სურს დამოუკიდებლობის დაცვა იმ პრინციპებზე, რომელზედაც სდგას ევროპის დემოკრატია და პროლეტარიატი.

მარკეს შემდეგ ტრიბუნაზე ადის მაკდონალდ, რომელსაც ხანგრძლივ [illegible] უმართავს ,,ძვირფასო ქართველო ამხანაგებო და მეგობრებო,—იწყებს ის მე მწყინს, რომ არ შემიძლია გამოგითქვათ ის მადლობა, რომელიც უნდა დავტოვო აქ ასეთი აღტაცებით მიღებ სათვის. მარა საუკეთესო მადლობა იქნება, როცა მივალთ ინგლისში იქ პროფეს. კავშირებში, პარლამენტში და მუშათა პარტიაში გავსწიოთ აგიტაცია საქართველოს დამოუკიდებლობისათვის, რომ პროლეტარიატმა აიძულოს ევროპის მთავრობები იცნონ საქართველო (ხანგრძლივი ტაში) თქვენ გაგიწევიათ ბრძოლა ისტორიულათ, როცა ცარიზმის დროს ქუთაისი ციმბირს უგზავნიდა საუკეთესო შვილებს, მხოლოდ იმისთვის, რომ ეს შვილები იბრძოდენ ხალხის გასანთავისუფლებათ. საქართველოს ისტორია არ არის მარტო საქართველოს ისტორია, ეს არის ისტორია ცივილიზაციისთვის ბრძოლისა, ეს არის ისტორია აღმოსავლეთის ბარბაროსობისა და ჩრდილოეთის იმპერიალიზმისაგან თავდაცვისა. როცა მე ყაზბეგში ვიყავი ცა მოფენილი იყო ღრუბლებით, ხოლო როცა მეორე დღეს მოიწმინდა და გამოჩნდა მთის მწვერვალთა სხივებით მოჭედილი გვირგვინი, მე წარმომიდგა მაშინ მუშათა კლასის განთავისუფლების დღე. და ამ გზისკენ ყველაზე სწორ, მიუხვეველ ბილიკებით მიდის საქართველო და ჩვენ ფიცს ვსდებთ ვიბრძოლოთ მიიღოს დიდებულ საქართველომ ნაციათა ლიგაში ის, რისი ღირსი არის. იგი. ხანგრძლივი ტაში, ოვაციები ფარავს მაკდონალდის სიტყვებს.

ქუთაისის ქალაქის საბჭოს სხდომაზე ვანდერველდემ წარმოსთქვა შემდეგი სიტყვა:

ვანდერველდე. ჩვენ ბედნიერნი ვართ და ვამაყობთ მით, რომ ასე მშვენივრათ გვღებს ქალაქი ქუთაისი, რომლის წარსული გვაგონებს რაინდულ დროებს.

წარსულ დროში, შავბნელი რეაქციის დროს და ცარიზმის ბატონობისას აი ეს ქალაქი არა მარტო საქართველოს, არამედ მთელ დიდ რუსეთს, მის სახალხო წარმომადგენლობას, სახელმწიფო სათათბიროს აძლევდა საუკეთესო მებრძოლებს, იშვიათ რევოლიუციონერებს კაკი წერეთლის და სხვების სახით, მას შემდეგ, რაც საქართველოში შემოვდგით ფეხი, ჩვენ შეგვხვდა ორი საკვირველი და ამაღელვებელი შეხვედრა. პირველი იყო თბილისში და ეხლა აქ ქუთაისში, ძველ რევოლიუციონერ ქუთაისში, აქ ჩვენ ვიგრძენით განსაკუთრებული ძმური კავშირი და სტუმართ მოყვარეობა და ნება მიბოძეთ თქვენთან ერთად შევსძახოთ გაუმარჯოს დემოკრატიულ საქართველოს, გაუმარჯოს ,,ინტერნაციონალს''

— **ევროპის სოციალისტთა დელეგაციის წასვლა.** სექტემბრის 28 საღამოს 11 საათსა და 20 წუთზე ტფილისიდან ბათომს გაემგზავრენ, ევროპაში წასასვლელად ევროპის სოციალისტური დელეგაცია. მათ გასაცილებლად სადგურზე მივიდნენ მთავრობის თავმჯდომარე ნ. ჟორდანია დამფუძნებელ კრების თავმჯდომარის ამხანაგები ა. ლომთათიძე და ს. მდივანი. მთავრობის წევრები ნ. ხომერიკი. გვარდიის უფროსი ვ. ჯუღელი და სხვები. დელეგაციის წევრებმა გრძნობიერ შეხვედრისათვის მადლობა სთქვეს. 11 საათ 20 წუთზე გავიდა მატარებელი. დელეგაცია ბათომიდან სექტემბრის 29 გავა.

—

დელეგაციის წევრებმა დეპეშათა სააგენტოს თანამშრომელთან საუბრის დროს გამოსთქვეს თავის კმაყოფილება ამ მშვენიერ ქვეყნის საქართველოს ნახვით.

რენოდელმა სთქვა: საქართველოს შეუძლია მიიზიდოს დიდძალი ტურისტები უცხოეთიდან საქართველოში მოგზაურობა შვეიცარიაზე ნაკლებ საინტერესო არ იქნება. საჭიროა საქართველოს სასარგებლოდ პროპაგანდის გაწევა, რათა ტურისტები მოაწყდენ ამ მხარეს, რომელსაც ეკონომიური მხრივაც დიდი მნიშვნელობა აქვს. ამისთვის აუცილებელია ევროპიდან საქართველოში მოგზაურობის გაიაფება, მოსვლა და გაბრუნება 1000 კრონაზე მეტი არ უნდა ღირდეს.

ჰიუსმანსმა და რენოდელმა განაცხადეს, რომ ისინი გაზაფხულზე ისევ ჩამოვლენ უეჭველად საქართველოში. დელეგაციის წევრი დე ბრიუკერი ოქტომბრის 15 ამდე დარჩება თბილისში.

აკაკი ხოშტარიას და ინჟ. შტრანგის უხვი შემოწირულება.

ჩვენმა რედაქციამ შემდეგი წერილი მიიღო გერმანიიდან:

ბ ნო რედაქტორო!

გთხოვთ დაუთმოთ ადგილი თქვენს პატივცემულ გაზეთის ფურცლებზე შემდეგ სტრიქონებს:

მიმდინარე წლის ივნისს აკაკი მეთოდეს-ძე ბ-ნ ხოშტარიამ და ბ-ნ ინჟ.

შტრანგმა ერთდროული დახმარება გაიღეს გერმანიაში ამ ჟამად მოსწავლე ულარიბეს არა-სტიპენდიანტ სტუდენტთა სასარგებლოდ, პირველმა ოცდა ხუთი ათასი (25.000) მარკა და მეორემ—ათი ათასი (10.000) მარკა. ეს დიდი დახმარება გაღებულ იქმნა სწორედ იმ დროს, როცა ეს ულარიბესი ნაწილი ქართველი სტუდენტებისა განიცდიდა უკიდურეს გაჭირვებას მატერიალურის მხრივ, სწორედ იმ დროს, როცა გერმანიაში მოსწავლე ქართველ სტუდენტების ამ ნაწილის წინაშე იდგა საბედისწერო აუტ—აუტ: ან მიტოვება სწავლისა და სამშობლოში გამგზავრება, ან დარჩენა და შიმშილით სიკვდილი გერმანიაში. ეს დახმარება სრულიად მოულოდნელი იყო მისთვის, და საშუალება მისცა ამ სტუდენტებს (რიცხვით 12 კაცს), თუნდაც, რომ დიდის დაჭიმვით, რომელიც მხოლო შესაძლებელია ადამიანისთვის, შეინარჩუნონ თავისი ფიზიკური არსებობა და განაგრძონ თავიანთი ჩვეულებრივი მეცადინეობა გერმანიის უმაღლეს სასწავლებლებში—ამა წლის დეკემბრის შუა რიცხვებამდის. ის გრძნობები, რომლებითაც შეხვდა გერმანიაში მოსწავლე ულარიბესი არა-სტიპენდიანტი სტუდენტები ამ მოულოდნელ უხვ შემოწირულების ამბავს, ვერ გამოითქმება სიტყვით. ვიქონიოთ იმედი, რომ ცხოვრების სიდუხჭირენი, რომელნიც უთუოდ კიდევ არა ერთხელ გვეწვევიან ჩვენ ჩვენი სტუდენტურ ცხოვრების დროს, არ იქნებიან იმდენად საბედისწერონი და საშინელი, რომ ჩვენ ვერ შევსძლოთ გავამართლოთ შემდეგში სამშობლოს საკეთილდღეოთ ბ.ბ. ხოშტარიასა და შტრანგის—მიერ ჩვენზე დამყარებული იმედები.

მიიღეთ, ბ-ნო რედაქტორო, ჩვენი ულრმესი პატივისცემა!

გერმანიაში მოსწავლე არა-სტიპენდიანტ სტუდენტთა ულარიბესი ნაწილის მონდომილობით კომისია.

ქ. ბერლინი,
5 აგვისტო 1920 წ.

პ. ს. სხვა გაზეთებს ვთხოვთ გადაბეჭდონ ეს წერილი. კომ.

კათოლიკოზ ლეონიდეს მოწოდება.

ჩემს საყვარელ სამწყსოს, ქართველ ერს, მადლი და კურთხევა ღვთისა.

ყოველ ქართველს, რომელიც ღირსეულად ატარებს ამ სახელს, ქვეყანაზედ უდიდეს და პირად სიცოცხლეზე უძვირფასეს საუნჯედ უნდა სწამდეს სათაყვანო სამშობლო, ობოლი მარგალიტი საქართველო, ხოლო საქართველოში უდიდეს ღირებულებად ქართველი ერის პირველი სალოცავი სვეტი—ცხოველი მცხეთისა. როგორც გაზაფხულის სხივების თბილი კოცნა აღვიძებს და სიცოცხლის სულს უდგამს ზამთრის ყინვისაგან მოკვდარინებულს ბუნებას, ისე სვეტი ცხოვლის ხილვა ჰბადებს და აჩენს ხოლმე ქართველი ქალისა და კაცის გულში მამულიშვილურ გრძნობას, ეროვნულ შეგნებას, ხალხოსნურ თავმოწონებას, ღრმა სიყვარულს ყველაფრისადმი, რაც მახლობელი და მშობლიურია. სვეტი ცხოველი ქართველისათვის დიდი სარკეა, რომლის ნათელ გულზედაც მკაფიოდ ასახულა ჩვენი სამშობლოს მრავალ საუკუნიანი წარსულის უმეტნაკლებო სურათი, ის თუ რა ყოფილა და რადაც უნდა დარჩეს ქართველი ერი, რითი გაუმტკიცებია მას თავისი ძლიერება ეკონომიურ-პოლიტიკური კეთილდღეობა და რამდენადაც მუდამ უძლევია მტერთა სიმრავლე.

ცნობილია, რომ მცენარე იმდენად საღი და მძლავრია, რამდენადაც ღრმად და მრავლად აქვს მას გატანილი მიწაში ფესვები, ამის მსგავსად თვითეული ერის მომავალი იმდენად საიმედო და უშიშარია, რამდენადაც ამ ერის შვილებს შეგნებული და შესწავლილი აქვთ სამშობლოს წარსული. ერი, მოკლებული ამ გვარ ცოდნას, უფესვო ხეა, რომელსაც პირველი ქარი ძირს დასცემს და დალეწავს. ჩვენი ქვეყნის მთელი თავგადასავალი, როგორც მოგახსენეთ, მზის სიცხადით გამოსჭვივის სვეტი ცხოვლის ტაძრის ბუმბერაზული სხეულის ყოველივე ნაწილიდან და რაც უფრო ახლო გავეცნობით ამ ჩვენი დიდების ძეგლს, მით უზრუნველ ვყოფთ ჩვენს დამოუკიდებლობას მომავალში.

და აი ასეთი ძეგ. ჩვენი ვინაობ. დღეს თავზე გვენგრევა. ასეთი თვალსაჩინო მონუმენტი ჩვენი მომავლის განმტკიცებისა ამ ჟამად გარეულ ფრინველთა. ბუდედ ქცეულა, ამ უპირველეს სამლოცველოს ახლო ველარ მივეკარებით ზემიდგან ქვების ჩამოცვივნის შიშით და შესაძლოა ამ წელს თვით სვეტიცხოვლობა დღეს წირვაც ველარ გავბედოთ ტაძარში, რადგანაც თებერვლის მიწის ძვრის შემდეგ საკურთხევლის თალიდან ზედ წმ. ტრაპეზზე ჩამოეშვა ორი უშველებელი ლოდი და მათი ჩამოვარდა ყოველ წამს მოსალოდნელია.

საყვარელნო! ქართველმა ერმა სასიქადული ჭირის უფლობა გაუწია სვეტი ცხოველს იმ დროს, როდესაც ჩვენში ბატონობდნენ არაბები, მონგოლები, ოსმალები, სპარსები და სხვა მათგვარი ჯალათები, და ნუ თუ წარმოსადგენია, რომ დღეს, როდესაც საქართველოს დაჰყურებს თავისუფლების მზე, როდესაც ჩვენი ქვეყნის გამგე პატრონი ჩვენივე ერია, ქართველი დემოკრატია შეურიგდება იმას, რომ სვეტი ცხოვლის ტაძარი სწორედ ახლა საქართველოს აღდგენის ჟამს დაინგრეს, ახლა განაუგურდეს და ახლა აღიფხვრას იგი კეკლუცი საქართველოს პირიდან. მაშინ რაღა დარჩება ამ დემოკრატიას დაკარგული ძეგლის ალაგას საამაყო და თავმოსაწონი სამშობლოში. რაღა პირით წარუდგება ეს დემოკრატია თავის წინაპრებს, რომლებმაც შეჰქმნეს კიდეც და მრავალ საუკუნეთა მანძილზე უზიანოდაც გამოიტანეს ეს მთავარი სიწმიდე ქვეყნისა განსაცდელთა გაუქრობელი ცეცხლიდან, რომელითაც ბოროტი მტრები ლამობდნენ საქართველოს ხსენების გაქრობას.

უძლურება-გაჭირვებაში მყოფ მშობლებზე ზრუნვა შვილების სალმრთო ვალია. დაღუპული რეჟიმისაგან პატივ აყრილი, დანგრევის პირად მიმდგარ და სავსებიც გაძარცულ-გაშიშვლებული სვეტი ცხოველი ჩვენდამი ხელებ გამოწვდილი შველასა გვთხოვს, როგორც შვილებს და, თუ მართლა შვილები ვართ მისი და ქართული დემოკრატიული რესპუბლიკისა, ყურად ვიღოთ გაჭირვებულის ძახილი, საჩქაროდ მივეშველოთ მას ქალი და კაცი და უმეტნაკლებოდ აღუდგინოთ მას ძველებური მდიდრული სამკაულ-სამოსელი, როგორც დამოუკიდებელი ეკლესიის დედა ტაძარს. ნუ დაგვავიწყდება, რომ დედის სიტიტვლე შერცხვენაა შვილებისა. ყველანი სიამოვნებით და ხალისით ჩავებათ სვეტი ცხოვლის განახლების საქმეში და სწორეთ ამ მამა პაპათაგან ნაანდერძევი საამაყო ძეგლის აღდგენით გადავაბათ ერთი მეორეზე ძველი და ახალი საქართველოს დამოუკიდებლობა.

სრულიად საქართველოს მოსწავლე ქალ ვაჟობავ. პირველი რიგში შენ შემოგცქერის სვეტი ცხოველი, მის გულს ყველაზე მეტს ნეტარებას განაცდევინებს ის აგური, რომელსაც მის გალავანში შეიტანს შენი ფაქიზი ხელი და ყველაზე მეტად აღაფრთოვანებს ის სიტყვა, რომელიც შენ ამოგხდება უმანკო გულიდან მის სასარგებლოდ.

მაშ, ღვთით, დიდი და პატარა ხელიხელს ჩაკიდებით შეუდგეთ ჩვენი სალოცავის სვეტი ცხოვლის განახლებას.

სრულიად საქართველოს კათოლიკოზ—პატრიარქი ლეონიდი.

მოხსენება მემედ ბეგ აბაშიძისა.

როგორც აღნიშნული გვქონდა სასამუსლიმანო საქართველოს მეჯლისის თავმჯდომარე მემედ ბეგ აბაშიძე წარუდგა საქართველოს მთავრობის თავმჯდომარეს და სამუსლიმანო საქართველოს მდგომარეობის შესახებ მოხსენება წარუდგინა. მოგვყავს მოხსენება სრულიად უცვლელად: „ორს უკიდურეს მხარეს ისე არა აერთებს რა, როგორც სამხედრო განწყობილება საზოგადო მტრის მოლოდინში. და აი, მთავრობაც რაკი ეს დებულება სწორად დაინახა, გადაწყვიტა ჰაიდარბეგ აბაშიძისა, ლეო რუხაძისა და სამუსლიმანო საქართველოს გამანთავისუფლებელ კომიტეტის საანგებო რწმუნებულის ინიციატივით შეედგინათ ქართველ მუსლიმანთა დივიზიონი. ეს დივიზიონი შემაერთებელ ხიდად უნდა ყოფილიყო ქართველ მუსლიმანთა და ქრისტიან ქართველობის შუა. ეს გადაწყვეტილება, მართლაც, ბრწყინვალედ იქმნა შესრულებული. ჯერ კიდევ თებერვალში 1918 წელს შემდგარი იქმნა საჭირო დივიზიონი. სამწუხაროდ, პირველ ხანებში საქმე არ ეწყობოდა, იმიტომ, რომ ერთი ხელმძღვანელთაგანი ყადირბეგ შარვაშიძე უდროოდ გამოეცალა დივიზიონს. მისი სიკვდილი, მართლაც, ყველასათვის საგრძნობი გახდა. მიუხედავათ ამისა პოლიტიკური მომენტი და მისი მოთხოვნილებანი ხასტიკ ბრძანებას იძლეოდა განსაკუთრებული ყურადღება ყოფილიყო შეერთებისათვის მიქცეული. ამ საჭირო აპარატის შექმნა-ამოძრავებასთვის ამ მიზნით მარია მობისთვეში 1919 წელს მთავრობამ საქმეში ჩაურია ახალი პიროვნებაც, ეს გახლდათ ბალშიბეგ მაჩაბელი. ამ უკანასკნელმა თავის თანაშემწეთ მოიწვია ძველი გამოცდილი კავალერისტი მაიორი მგალობლიშვილი, რომელიც ჯერ კიდევ ცარიზმის დროს ერთ საუკეთესო ოფიცრათ ითვლებოდა ტვერის პოლკში. თავის საქმისადმი უზენაესად გატაცებულნი და მოსიყვარულენი ორთავე მაიორი მაჩაბელიც და მგალობლიშვილიც არავითარ ძალ ღონეს არა ზოგავდნენ, რომ მუსულმანს ქართველებისაგან მალე შედგენათ სრული ესკადრონი, რაიც მართლა შედგენილ იქმნა კიდევ. აქ მცირე მოკლედ შევეხო ამ ესკადრონის მოქმედებას, რომ უფრო ნათელი შეიქმნეს თუ რა სწორე გზას ადგა მთავრობა, როდესაც ესკადრონის შექმნა განიძრახა. პირველ ხანებში მათზე დაკისრებული საქმე ფრიად რთული იყო. ბახშიბეგ მაჩაბელს სამხედრო საქმის გარდა პოლიტიკური მისიაც ჰქონდა მინდობილი. თუ ამას დაუმატებთ იმ არეულ დარეულობას და სრულ ანარქიას, რასაც მოეცვა იმ დროს მთელი ამიერ კავკასია და კერძოთ საქართველო, მაშინ ნათლად წარმოიდგენთ, თუ რა დაბრკოლებათა ცეცხლის რკალი უნდა გაერღვია მაჩაბელს. მაგრამ მან არა დაზოგა რა, არც ძალი და ღონე არც მთელი თვისი ქონება. „ყოველიფერი სამშობლოსთვის“—აი რას ამბობდა ის და ამ სიტყვებს ერთხმად იმეორებდნენ ყმაწვილნი, ვინც მის გარშემო თავი მოიყარეს. ჯერ კიდევ ესკადრონის შედგენაში იყვნენ, რომ ინგლისელებმა დასცალეს არტაანი. მთავრობამ დაუყონებლივ გაჰგზავნა იქ მაიორი მაჩაბელი, რომ ადგილობრივად გაეგო ხალხის ნება და სურვილი იმ რაიონის საქართველოსთან შეერთების შესახებ. ხალხი მაჩაბელს აღფრთოვანებული შეჰხვდა. ამიტომ იყო რომ მთელმა არტაანის ოლქის ჩრდილო ნაწილმა სურვილი განაცხადა საქართველოს შემოერთებოდა 5 ნოემბერს 1919 წელს, მთავრობის განკარგულების თანახმად ამ რაიონში შედის ახლად შედგენილი მუსულმან ქართველთა დივიზიონი, რომელიც 80 ქვეითი ჯარის კაცისაგან შესდგებოდა, ტყვის მსროლელთა ერთი რაზმით, რომელიც დანიშნულ ადგილს, არზებში, 11 ნოემბერს ჩამოვიდა მთელი ახალციხე—არტაანის გზა დაკეტილი იყო და მოქმედება შეუძლებელი გახდა, რადგანაც მთელი ეს რაიონი ყაჩაღთა ბრბოს ეჭირა, 30 40 კაციანდე მცხოვრებთ თავზარი ჰქონდათ დაცემული, მაგრამ მგალობლიშვილის ენერგიულმა მოქმედებამ მალე მათ ჩაუწყვიტა ხმა, რამდენიმე შეტაკების შემდეგ ნაწილი ყაჩაღებისა ამოხოცილ იქმნა, ხოლო მეორე ნაწილი გაიფანტა და მთელი რაიონიც მთლად გაწმენდილი იქნა, ასე რომ მთელს ოლქში ამ ქართველ მუსულმანთა ესკადრონის წყალობით სრული მყუდროება დამყარდა, გზები გაიხსნა და მოგზაურობაც უშიშარი შეიქნა. უნდა აღინიშნოს ყველა ის შევიწროებანი, რაც განიცადა ესკადრონმა. არტაანის ოლქში ესკადრონს ნოემბერში მოუხდა მოქმედება. ეს იმ დროს, როდესაც ხანიორის უღელტეხილი ორ არშინამდე თოვლით იყო დაფარული. ასეთი გმირული წინსვლა მიტომ არ შეაჩერა ესკადრონმა, რომ მის წინ მხნედ მიდიოდნენ მაჩაბელი და მგალობლიშვილი, რომელთაც ყინვაქარიშხალს და ნამქერს პირველი თვითონ მიაგებს გული და მით ძალ ღონე მოჰმატეს მთელს ესკადრონს. როცა დანიშნულ ადგილს მივიდნენ ესკადრონს ახალი განცდა დაატყდა თავს: არსად თავშესაფერი, არსად სურათი, სანოვაგე, არც ცხენებისათვის საჭმელი. ესკადრონი სასოწარკვეთილებას მიეცა, მაგრამ აქაც მაჩაბელმა ჰპოვა გამოსავალი გზა: იგი მხურვალე მოწოდებით წარსდგა ადგილობრივ მცხოვრებთა წინ, იმოქმედა მათზე და მალე ხალხმა აღმოუჩინა ბინაც, სურსათიც და ცხენებსაც მოუარეს. ხალხში წესიერების შეტანამ მათი ინტერესების დაცვამ კეთილი ნაყოფი გამოიღო. ესკადრონი დღე და ღამ მათ თავს ევლებოდა და ყოველ თავდასხმისა და შიშისაგან უზრუნველი ჰყო. ეს ამბავი მალე მეზობელ ოლქებსაც მოედო. შავშეთისა, არტანუჯისა და ართვინის მცხოვრებნი საქართველოსკენ გადმოიხარნენ. მათი რწმუნებულები ბალშიბეგ მაჩაბლის შტაბში მიდიოდნენ და თბილისში თუ უცხოელთა მისიებში ითხოვდნენ საქართველოსთან შეერთებას. რომ სიმართლის წინ არ გავშავდე. შემიძლიან მივათითო იმ გარემოებაზე, რომ მეჯლისმა რაკი დარწმუნდა ესკადრონის ნაყოფიერ მუშაობაში, რაიც ნიადაგს ამზადებდა მთელი ბათუმის ოლქის თავის ბუნებრივ საზღვრებში გადმოსასვლელად, დახმარება გაუწია მას და ივნისში ასი მოხალისე მიაშველა მუსლიმან ქართველებიდან. ეს ასი კაცი ესკადრონში იქმნენ ჩარიცხული. მოქმედება ეხლა უფრო გაფართოვდა. მაჩაბელი და მგალობლიშვილი იყვნენ დაუღალავი მუშაობისათვის მთავრობის მიერ დაჯილდოვებულ იქმნენ მით, რომ მაჩაბელი პოლკოვნიკობის არისხზე აიყვანეს. ესკადრონი მალე დივიზიათ გადაიქცა და ორი კვირის შემდეგ მოქმედება გადატანილ იქმნა შავშეთში, როგორც ამას მოითხოვდა თვით ხალხი. 4 მარტს დივიზიონმა კიდევ ერთი გმირობა ჩაიდინა, რომ სახარიონის უღელტეხილზე ერთ საჟენზე დადებული თოვლი გაარღვია და ისე შევიდა შავშეთში. ამ დივიზიონს თვით ხალხი ეხმარებოდა და ამხნევებდა გასაცდელში. ხალხი ყოველგან პურ-მარილითა ჰხვდებოდა მას, საზოგადო სიხარულს საზღვარი არა ქონდა. შავშეთში წესიერების დამყარების შემდეგ. დივიზიონი არტანუჯისკენ გაემართა, სადაც ჯერ კიდევ ინგლისელები იდგნენ კაპიტან ვილიემსის მეთაურობით. აქ ხალხის თხოვნისაებრ გაემართა ართვინისაკენ და აქ შეაჩერა წინსვლა. აი ასე მოხდა მთელი შავშეთ-არნატუჯ-ართვინის შემოერთება. აქ დივიზიონს დიდი შრომა და ჯაფა დასჭირდა, რომ მთელი რაიონი გაეწმინდა ყაჩაღთა ბრბოებისაგან, რომელთა თავხედობას არ ჰქონდა საზღვარი, რადგანაც ტყვედ წაყვანილი ჰყავდათ არტანუჯის რაზმის უფროსი მაიორი ლიკვინაძე. მთელი რაზმით გაგზავნილმა ლეიტენანტ კარა-ალა-ხალვაშიმ არა თუ მარტო გაანთავისუფლა ლიკვინაძე, არამედ მთელი ბრბოც დაიჭირა, გაანადგურა, ცნობილი ყაჩაღი ქაჯ-რაშაიდ ფაშა ოღლი, რომელმაც 1917 1918 წლებში ფოცხოვის ყაჩაღთა ბრბოები შეიერთა და ახალციხისკენ გაემართა, მოჰკლა ახმედბეგ აბაშიძე ფოცხოველი და მისი შვილი აბას-ბეგი, ართვინში გაჩნდა, მის წინაღმდეგაც გაიგზავნა იგივე სახელოვანი კარა ალა-ხალვაში. სოფელ თენზობთან იგი წამოეწია მას და მის ამხანაგებს, მოჰკლა იგი და ორი მისი ამხანაგი. ყაჩაღთა ბრბოების შემდეგ მაჩაბელმა შემოიარა მთელი შავშეთი, არტანუჯი და ართვინი. ყველგან ხალხი აღვთოვნებული ჰხვდებოდა და ლოიალურად ეჭირათ თივი საქართველოსთან შეერთების შესახებ. ართვინში ყოფნისას მაჩაბელს ეახლა დელეგაცია მურღულიდანა და ბორჩხიდან და სთხოვეს, გაენთავისუფლებიათ ისინი ინგლისელებისაგან მთელი ტერიტორია მათ დაეჭირათ. მაგრამ ხულოს ამბების გამო პოლკოვნიკმა მაჩაბელს ბრძანება მოუვიდა ართვინი დაეცალა. მიუხედავათ ამისა მაჩაბელმა ფეხიც არ მოიცვალა და ნიადაგი მოამზადა, რომ ხალხს მთავრობისათვის მხარი დაეჭირათ. რაკი მათ ერთგულებაში დარწმუნდა, ისევ ართვინში დარჩა იგი, შემდეგში ხომ წინსვლა განაგრძო და ბორჩხა დაიჭირა, სადაც დღემდისინ მტკიცედ სდგას. აქ იგი შეეტაკა ბალაქისა და ვერულაძის ყაჩაღთა ბრბოს, რომელთაც მხარს უმაგრებდა კისკინ ოღლის ბანდები. არა ერთხელ მოუხდა დივიზიონს ხსენებულ ბრბოებთან შეჯახება, რომლის დროსაც ხუთი საუკეთესო მებრძოლი დაჰკარგა, სხვათა შორის ვახმისტრი კოზლოვსკი ციციშვილი, მაგრამ რაკი დაინახეს დივიზიონი არას გზით თავს არ ანებებდა მათ, ყაჩაღებმა აირჩიეს ბორჩხიდან გასულიყვნენ კიდეც. გ[illegible]ით რაც ჩამოვთვალეთ ესეც საკ[illegible]ისია იმის დასამტკიცებლად, თუ რა ღვაწლი მიუძღვის დივიზიონს სამშობლოს დაცვაში და მის წარმატებაში. მან საქმით და სისხლით დაამოწმა მისი ერთგულება სამშობლოსადმი და ერთხელ კიდევ ხაზი გაუსვა თვის ხელმძღვანელთა მისწრაფებას და ოცნებას, რომ სამუსლიმანო საქართველოც საქრისტიანო საქართველოს განუკვეთელ სხეულად დარჩენილიყო. მის სამხედრო მოქმედებას და სიმამაცეს ყოველთვის აღვთოვნებით აღნიშნავდა ხოლმე საქართველოს მთავარსარდალი. ყოველგან წესიერების შეტანა და მშვიდობიანობის დამყარება, სადაც კი მან ფეხი შესდგა, ამტკიცებს იმ სულიერ მაღალ გატაცებას, რომელიც აფრთოვანებდა დივიზიონს. აი ამ მოხსენებით შემოვდივარ მთავრობასთან, მსურს ხაზი გაუსვა და დაგიმტკიცოთ ყველა ის სარგებლობა, რის მოტანაც შესძლო და შეუძლიან ხსენებულს დივიზიონს. ჯერ კიდევ მთლად არაა ამოშრეტილი საქმიანობა სამუსლიმანო საქართველოში და ამ დივიზიონს კიდევ ბევრი რამ რჩება სამოქმედოდ მომავლისათვის. სხვათა შორის ამ მოხსენების მიზანი კიდევ ისიც იყო, რომ გამებნია ის ათასნაირი ჭორები და ცრუ ხმები, რაც ამ დივიზიონის გარშემო გაავრცელეს მტერ მოყვარეებმა. მის დაცვა და მის ხელფეხის გაშლა მომავალ მოქმედებისათვის,—აი დედა აზრი ჩემის მოხსენებისა, რომელსაც, იმედია უყურადღებოდ არ დასტოვებთ.

* * *

ჩვენი კორესპონდენტები

მ ც ხ ე თ ა.

მიბინდული ღრუბლებით დაზიდულა ჩვენი ისტორიის უდიდესი სიხარული,—მცხეთა, ეს ძველი და ახალი ღმრთეების სავანე, მეფეთა და დიდ მთავართა ცოცხალი ძეგლი, ჩვენი ხალხის აღმამაღლებელი და განმანათლებელი დარბაზი! მაგრამ სიხარული იგი დღეს დღეობით დაღვრემილია, მწუხარების ნისლს მოუცავს ოდესღაც ქართველის გულის გამმედიდურებელი მისი გუმბათი! საშინელებაა ბედის მიერ ასეთი განრისხება, საშინელებაა მისი ასეთი ბარბაროსული შურის ძიება, მით უმეტეს, საშინელებაა დიად სიწმინდის გამასხარავება, ასე დაცინვა, ასე დაშლა, ასე. . განადგურება!

ნუ იტყვით, რომ ყველა ეს სიტყვებია, პირიქით, სინამდვილეა, საშინელი სინამდვილე! საშინელებაა მით უმეტეს, რომ ჟამთა სვლისა და ბედის სისასტიკეს დავურთეთ ჩვენი უმადურება, ჩვენი გულცივობა. აი, მოვდივარ მორწმუნე ადამიანი, მსურს, ჩვენი დიდება და სიხარული ვიხილო და თაყვანი ვცე. შორიდანვე ვკრთი, ვხარობ, ვნეტარობ, შევალ აღკამლულდები, შევალ და ვიამაყებ ხელოვნების სიდიადით, მეფეთაც თაყვანსა ვსცემ, მეფეთ, რომელნიც იქ განისვენებენ, რასაც მთელი სიცოცხლე გმირულად ამოღებულ ხმლით თავს დასტრიალებდნენ: შევდივარ და... ვიბნევი! შევდივარ და სიხარულსა ერთვის კაეშანი, დაღვრემილობა. შევდივარ და ვაება იცავს ჩემს სულს, აღტაცებით აღსავსე გულსა!

ჩვენი ბედშავობა! რა უბადრუკი, რა უმადურია ქართველი თავის ისტორიულ ნაშთთა წინაშე! ასე ვინახავთ ჩვენ ძეგლებსა! პ რველი რაც გეცემათ შესვლისთანავე, ესაა ნესტისა და ზინტლის სუნი, სუნი აქ დაბუდებულ მტრედებისა და ღამურების უწმინდურობით, რომლითაც გაჩითულია კანკელი, სვეტები, გუმბათი, ყოველი თახჩა, ყოველი კუნჭული! ქარისა და ავდრისაგან დახურულ სვეტი ცხოველს ფანჯრები სულ მთლად ჩაჰლეწია, მიტომაა, რომ ტაძრისთვის მტრედების გარდა არ უკადრისობენ ჰილყვავებმა და ბუებმაც იბუდონ შიგ!

მაგრამ განა ესაა მარტო ტაძრის გაპარტახება? ჯერ სად არის! უპატრონოდ დაგდებულ ტაძარს ყოველისფერი შემოძარცვია. მთელი შენობის კამარა და თაღები სინესტითაა გაჟღენთილი. ოდნავი წვიმაა საჭირო წამოვიდეს, რომ თაღებიც წინწკლას იწყებენ, სტირიან კედლები, სტირის გუმბათიც... გარედან ხომ უარესია! მთელს ჩრდილოეთ მხარეზე ძველი დროიდან აქამომდისინ გადარჩენილი ლაკმარდანის (კარნიზის) ჩუქურთმებიანი ქვები აჩქარებულის ტემპით სცვივა. წრეულს უკვე ოთხი ქვა ჩამოვარდნილა, ერთი მთლად დამსხვრეულა, ხოლო სამი გადარჩენილა.

თებერვლის მიწის ძვრასაც თავისი საქმე მოუგვარებია. საკურთხევლის თაღის კამარა გაურღვევია და ის ქვა, რომელიც ჰკეტავს ხოლმე მთელს სარტყელს, დაძრულა, საგრძნობლად ჩამოშვებულა და უნდა ვიფიქროთ, რომ სულ მალე ჩამოვარდება. სამწუხაროისაა, რომ მას თან სხვა ქვებიც მოაქვს ჩამოსაშლელად, რაიც უქადის მთელი ბჭის დანგრევას და გაოხრებას.

სამხრეთის კარიც მთლად დაშლილა და ქვები დღეს არა, ხვალე მაინც იწყებენ ცვენას.

მაგრამ რიღელი ერთი მოსთვალოს ადამიანმა? გული სტირის და დანანებით იხსენებ კულტუროსან ხალხს, თუნდა საფრანგეთს, რომელთაც [illegible] რიგად უყვართ თავიანთი სიძველის ძეგლები. ხომ გახსოვთ, ზარბაზნებით დანგრეულ რეიმსის ტაძრის ას[illegible] გამოიდო მთელმა [illegible] შეუდგნენ მის სისწორით აღდგენას! ჩვენ ზარბაზნები კი არა, სტიქია გვინადგურებს და არც კი გვინდა, იქით მივიხედოთ და მზრუნველი ხელით რაოდენადმე მაინც შევუმსუბუქოთ ჩვენს დიდებას ხასტიკი ხვედრი ბრმა ბედისა..

დე—კანი.

სარედაქციო კოლეგია.
მთავარი რედაქტორი: ხ. კედია.

სახელმწიფო უნივერსიტეტის მე-3-მე კურსელი
სტუდენტი იღებს
გაკვეთილებს
იკითხეთ ეროვნულ დემოკრატიულ ბიუროში, დამფუძნებელი კრების ქ. № 5 დილის 8—1 საათამდე. უფ.

სამკურნალო
ელექტრონის რენტგენის და სინათლის
მიხეილ გედევანიშვილისა
დღისით 12—2 საათ. საღ. 6—8 საათ არის საწოლები. ყოლღანოვის ქ., 20, ვერაზე. 3102. თვ.

ყოფილი 1 კავკასიის კორპუსის სამხედრო მე თალი-ექიმი
ი. გ. ქუთათელაძე
იღებს შინაგან, კანით (ქეცით) ავადმყოფ ოთხფეხ პირუტყვებს და ფრინველებს. ცხენის ქოთაოს (ხაპს) ვიკვლევ მალეინის შეშხაპუნებით. ქითცხვრის სახადი—მ ლის ავათმყოფობას ვკურნავ „ნე მანის და ვესსელის“ მეთოდით. ვიძლევი დარიგებას „ზოოტექნიაზე“ (საქონლის მოვლა მოშენება). დილის 9—10 საათ. და დღის 2—4 ს. ბელინსკის ქუჩა № 39, ბინა 2. თვ. 43

მატარებლის მიმოსვლა.

თბილისიდან მიდის.

ბორჯომამდის	№ 17	7. 52
ბორჯომში ჩადის		2. 09
ფოთამდის	№ 3	9. 56
ფოთში ჩადის		10. 20
ბორჯომამდის	№ 19	2. 30
ბორჯომში ჩადის		8. 00
ბათომამდის	№ 17	8. 00
ბათომში ჩადის		9. 00
ბათომამდის ჩქარი	№ 5	11. 44
ბათომში ჩადის		11. 27
თელავამდის		8. 30
ქუთაისამდის	№ 9	9. 50
ქუთაისში ჩადის		6. 00
სანაინამდის		1. 40
სალ-ოღლამდის		10. 10

თბილისში მოდის.

ბორჯომიდან	№ 20	12. 30
თბილისში მოდის		6. 30
ქუთაისიდან	№ 12	11. 47
თბილისში მოდის		9. 30
ბათომიდან ჩქარი	№ 6	11. 00
თბილისში მოდის		12. 12
ბათომიდან	№ 8	3. 50
თბილისში მოდის		7. 44
ფოთიდან	№ 4	8. 25
თბილისში მოდის		7. 47
თელავიდან		7. 00
სანაინიდან		11. 30
სალ-ოღლიდან		4. 25

სახალხო განათლების სამინისტროს უწყებაში მყოფი
საბუღალტერო კურსები
თ. მ. ფილოიანისა
ორთავე სქესისთვის. (ტფილისი, მიხეილის პრ. № 24, ტელ. № 976), თხოვნების მიღება დილ. 10—12 საათამდე, საღ. 5—7 საათ. იხსნება ქართული ონყოფილება. 3101. 15—13

ფორტეპიანის კლასი
ია. ლ. პორტუგალოვის
მოწაფეთა მიღება ყოველდღე 12—3 და 5—7-დის. ველიამინოვის ქ. № 3 ქალაქის თვითმართველობის გვერდზე. 10—3130—7

საჭიროა
მოსამსახურე ქალი.
მოიკითხეთ „საქართველოს“ კანტორაში. 4—7—

სტამბა „საქართველო“ დამფუძნებ კრების ქ. № 5.